

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ა

თამარ აბრამიშვილი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის  
ბიზანტიური მონეტები

902, 9+379. 4 (C 41)  
069. 53 (47. 922): 737 (064)  
ა 186

ნაშრომში წერილობითი წყაროებისა და ნუმისმატიკური მასალის შესწავლის საფუძველზე განხილულია საქართველოსა და ბიზანტიას შორის არსებული პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა, რამაც განაპირობა საქართველოში ბიზანტიური მონეტების ფართო შემოსვლა და გავრცელება. შრომაში აღრიცხული და შესწავლილია საქართველოს მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. აღწერილია ძირითადი სამონეტო ტიპები და ვარიანტები.

ნაშრომს ახლავს საქართველოს ტერიტორიაზე ბიზანტიური მონეტების გავრცელების რუკა, ბიზანტიური მონეტების სააღრიცხვო სია და მონეტების ფოტორეპროდუქციული ტაბულები, ინდექსები და საძიებლები.

## წ ი ნ ა ს ი ტ ე უ ა ო ბ ა

საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდებში დიდი რაოდენობითაა დაცული ბიზანტიური მონეტები, შემონახულია ამ ქვეყნის თითქმის ყველა ეიისრის მონეტა ადრეული ხანიდანვე.

ბიზანტიური ნუმისმატიკური ძეგლებით ირკვევა საქართველოსა და ბიზანტიის სავაჭრო ურთიერთობის ინტენსიურობა.

მონეტები საყურადღებო მასალას იძლევიან ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისითაც.

ნაშრომის მომზადებისას ძირითადად ვყარდნობდით ნუმისმატიკურ მონაცემებს და ამასთან რიგი საკითხების გადაჭრაში ვხელმძღვანელობდით საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევებით.

მონეტებზე სისტემატური მუშაობისა და მათი შესწავლის შედეგად წამოყენებული გვაქვს ზოგიერთი ახალი დაკვირვებები. შესაძლოა, ყველა საკითხი არ იყოს თანაბარი მოცულობით განხილული, მაგრამ ეს ნაკარნახევია თვით ნუმისმატიკური ფაქტების რაოდენობითა და სისრულით; ამასთანავე უნდა ხაზი გავსვათ იმ გარემოებას, რომ წინამდებარე ნაშრომი ჩვენს ბიზანტიური მონეტების ასეთი სახით გამოცემის პირველი მაგალითია.

შრომა შედგენილია ჩვენ მიერ წლების განმავლობაში ბიზანტიური მონეტების როგორც ცალკეული ეგზემპლარების, ისე განძების შესწავლის საფუძველზე.

ამრიგად, შრომაში მოყვანილი დებულებები და ცნობები ემყარება საქართველოს ტერიტორია-

ზე გავრცელებულ და მოპოვებულ ფაქტიურ მასალას.

შრომის ჩინშენელოვან ნაწილს შეადგენს ჩვენ მიერ დამუშავებული გურჯაანის, დვირის, ნოქალაქევის, ოჩამჩირისა და ჩიბათის განძები, გარდა ამისა ნაშრომში სრულად შევიტანეთ მუზეუმის ბიზანტიური მონეტების ფონდში დაცული ის მონეტები, რომლებსაც არ გაანჩათ მოპოვების გარემოების შესახებ ცნობები და რომლებიც მრავალი წლის მანძილზეა დაგროვილი.

შესწავლილი და დამუშავებული გვაქვს აგრეთვე საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში დაცული ბიზანტიური მონეტები, რომელთა შეტანა შრომაში იმთავითვე იყო გათვალისწინებული, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო მათი შეტანა აქვერ მოხერხდა; ეს მონეტები მითითებულია სათანაოდ აღვნიშნავთ.

შრომაში აღწერილია ძირითადი ტიპები და ვარიანტები, სულ 532 მონეტა.

შრომას ახლავს საქართველოს ტერიტორიაზე ბიზანტიური მონეტების გავრცელების რუკა, ბიზანტიური მონეტების სააღრიცხვო სია და მონეტების ფოტორეპროდუქციული ტაბულები.

რუკა შედგენილია საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკური განყოფილების მიერ შეგროვილი ცნობებისა და სპეციალურ ლიტერატურაში აღრიცხულ და ამ ნაშრომში თავმოყრილი ცნობებისა და მასალის საფუძველზე<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მუშაობის პერიოდში ვცდილობდით რუკის გარეშე არ დაგვრჩენოდა მონეტათა აღმოჩენის რომელიმე პუნქტი შესაძლებლობის ფარგლებში. რუკის შედგენის შემდეგ გამოვლინებული გეოგრაფიული პუნქტების შეტანა მხოლოდ მონეტათა აღმოჩენის ტექსტში მოხერხდა.

ცნობები მონეტათა პოვნის შესახებ დალაგებულია ქრონოლოგიურად, კეისრების მიხედვით, შიგნით კი—აღმოჩენის თარიღების თანმიმდევრობით. მონეტის აღმოჩენის გეოგრაფიული ადგილის დასახელება მოცემულია 1961 წლის 1 ივლისისათვის მიღებული საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით.

რუკის შედგენის დროს ვუშვებდით ზოგიერთ გამოწაკლისს: ამა თუ იმ პუნქტის შესახებ ბუნდოვანი ცნობების გამო ვიღებდით იმ გეოგრაფიული მხარის ცენტრს, სადაც მონეტა იყო აღმოჩენილი.

მაგ., რაჭის №№ 193, 211 ნაცვლად—ამბროლაური, ხევისურეთის № 20 მაგიერ — ომალო, სვანეთის № 46—მესტია; ძველი დმანისის № 170 მაგიერ — დიდი დმანისი, ხოლო სმეკალოვკის № 37 ნაცვლად ბათუმი. უგუდეთი, ყოჩაშკა და კიდევ რამდენიმე პუნქტი რუკაზე არ არის აღნიშნული. აგრეთვე ლორე და ოპიზა, როგორც საქართველოს სსრ რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მდებარე პუნქტები.

ზოგიერთი მონეტის ადგილსამყოფელი ტექსტში მითითებული არ არის, რადგან ამ უკანასკნელის დადგენა ვერ მოხერხდა.





## შესავალი

საქართველოს მიწის წიაღში აღმოჩენილი ბიზანტიური ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლა ფრიად საყურადღებოა საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით; მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ რიგი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი საკითხის მართებულად გადამწყვეტისათვის.

საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა უმეტე-ვენეულად არ მიმდინარეობდა; მას თან სდევდა დამახული ბრძოლა, რომელიც დაკავშირებული იყო მთავრად თუ საშინაო ვითარებასთან. ამ ორ სახელმწიფოს შორის ხშირად ერეოდა მესამე ძალა ირანის სახით, რომელიც არანაკლებად იყო დაინტერესებული როგორც თვით საქართველოს, ისე, მასზე გავლით, შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებაში. ამგვარი მისწრაფებები აღრეულ ხანაშიც არსებობდა და ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც მათ გაძლიერების ტენდენცია დაეტყო. ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ მრავალი ცნობაა შემორჩენილი როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში; ეს მასალები უხვადაა გამოყენებულ საქართველოს ისტორიის

შეკვლევარათ მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, რომელთა სისტემატურად შეკრებისა და გამოკვეყნების საქმეში თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის პროფ. ს. ყაუხჩიშვილს<sup>1</sup>.

არანაკლებ მნიშვნელოვან წყაროს ამ ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიისათვის, როგორც ითქვას, წარმოადგენს ბიზანტიური ნუმიზმატიკური ძეგლები—მონეტები. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ძეგლები-საღმია მიძღვნილი.

ბიზანტიური მონეტები საქართველოში აღრეული ხანიდანვე შემოდის და ვრცელდება. უადრესი ბიზანტიური მონეტა ჩვენში არკადი კეისრის დროიდან (395—408) ჩანს, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც აღმოსავლეთ რომის<sup>2</sup> (ე. ი. ბიზანტიის) იმპერია გაჩნდა როგორც სახელმწიფო ერთეული. ყველა ეს მონეტა სპილენძისაა და იმათ ჯგუფს განეკუთვნება, რომელთა მოპოვების გარემოება ცნობილი არ არის<sup>3</sup>. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ სპილენძის მონეტები აღმოჩენის ადგილიდან შორს არ მიდის და მახლობელ საცავებში იყრის თავს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I—V, თბილისი, 1934—1963.

<sup>2</sup> ბიზანტიის პირველ კეისრად არკადის ვერადუდობთ, რადგან რომის ორ პოლიტიკურ ერთეულად გაყოფის შემდეგ აღმოსავლეთ რომის მფლობელობა პირველად არკადის ხელს; უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე მკვლევართა შორის არ არის საერთო აზრი. ზოგი თვლის, რომ გაყოფა უკრ კიდევ არ ნიშნავდა ბიზანტიის იმპერიის აღმოცენებას, ამიტომ პირველ კეისრად ანასტასის ვერადუდობან და პირველ ბიზანტიურ მონეტადაც მის მონეტებს თვლიან: ე. ს. ა. ბ. გ. Description générale des monnaies byzantines, vol. II, Paris, 1862; ე. როსი, Catalogue of the Imperial Byzantine coins in the British Museum, vol. I, London, 1908.

<sup>3</sup> 1959 წელს სთნეში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია არკადის სპილენძის I მონეტა, ხოლო 1953-1964 წწ. ბიკინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა არკადის სპილენძის 10 მონეტა.  
თ. ლომოვრი, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 300.

საქართველოში შემოსული და მიმოქცევაში მოხვედრილი ბიზანტიური მონეტების მეცნიერული შესწავლა სრული მოცულობით მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო. მანამდე კი ისინი ძველეთაში მიერ აღინუსხებოდა მხოლოდ როგორც ფაქტი და ისიც სხვა საკითხთან დაკავშირებით. პირველი შრომა, სადაც სათანადოდ არის განხილული ისეგნებული ძეგლები, თ. ლომოურის ეყუთენის<sup>1</sup>. მან სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა დმანისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ მონეტებს, რომელთა შორის ბიზანტიური მონეტები დიდი რაოდენობით იყო. ბოლო წლების მანძილზე ისტემბატურად წარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების ცალკე განძებისა და მათთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა<sup>2</sup>. რის შედეგად შესაძლო და აუცილებელი გახდა ბიზანტიური მონეტების მონოგრაფიულად გამოკვლა. წინამდებარე ნაშრომში ძირითადად განხილული იქნება წლების განმავლობაში საქართველოს მუზეუმში დაკრძოვილი ბიზანტიური მონეტები; აქვე მხოლოდ მოხსენებული იქნება ის ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც ბიზანტიურ მონეტებთან ერთდროულად იყო მიმოქცევაში საქართველოში. უმთავრესად მის აღმოსავლეთში (სასანური და არაბული მონეტები). ნაშრომის ძირითადი მიზანია, საქართველოში მოპოვებული ბიზანტიური ნუმიზმატიკური ძეგლების დაზნარებით. ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის გაშუქება.

კვლევის დროს ჩვენ მიერ გამოყენებულია წერილობით წყაროებში არსებული ცნობები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების მიერ შეკრებილი მონაცემები, ჩვენს ტერიტორიაზე ბიზანტიური მონეტების აღმოჩენის ფაქტების შესახებ და ამავე ხასიათის მასალები აზერბაიჯანში და კავკასიის სხვა რესპუბლიკებსა და მხარეებში აღმოჩენილი მონეტების განძების

შესახებ, რომლებიც გამოქვეყნებულია ე. პანოშის მიერ<sup>3</sup>.

შრომში, ყველა საჭირო შემთხვევაში მოტანილია ცნობები საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში დატული ბიზანტიური მონეტების შესახებ და გათვალისწინებულია ლენინგრადის ერმიტაჟსა და მოსკოვის ისტორიულ და სახვითი ხელოვნების მუზეუმებში დატული პარალელური მასალები.

ბიზანტიური ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლას საერთოდ საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბიზანტიურ მონეტებზე შედგენილი და გამოცემული კატალოგები, გამოქვეყნებულია უამრავი წერილობით ცალკეულ საკითხებზე, ბიბლიოგრაფიული და ტოპოგრაფიული ხასიათის ნაშრომები. საჭიროდ მიგვაჩნია აქ მოკლედ შევეხეთ ამ სახის ძირითად ნაშრომებს და შედგებისადაგვარად შევაფასოთ მათი ღირებულება მეცნიერების თანამედროვე დონის თვალსაზრისით.

1836 წელს ფ. სოლსიმ გამოსცა ბიზანტიური მონეტების კატალოგი<sup>4</sup>, ტექსტი და მონეტების ჩანახაზების ფოტოტაბულები. ნაშრომში მოთავსებული მასალები და ავტორის მიერ წამოყენებული ზოგიერთი დებულება მოძველებულია; იგი არასრულად მიაჩნდა ი. ტოლსტოის, ჯერ კიდევ 1912 წელს<sup>5</sup>.

1862 წელს ე. საბატიემ შეადგინა და გამოსცა ბიზანტიური მონეტების კატალოგი ორ ტომად<sup>6</sup>, რომელშიც წარმოდგენილია გამოკვლევის ტექსტი, მონეტათა აღწერილობა და ტაბულები. მიუხედავად იმისა, რომ შრომაერთი საუკუნის წინ არის გამოცემული, მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და უდაოდ სასარგებლო და საჭირო დამხმარე სახელმძღვანელოს წარმოადგენს ბიზანტიური მონეტების გამოსარკვევად; ბიზანტიურ ნუმიზმატიკაში მომუშავენი მონეტების განსაზღვრისათვის ხშირად მიმართავენ ამ კატალოგს.

ი. ტოლსტიი ამ კატალოგის შესახებ სრულად მართებულად აღნიშნავს: „ყველა იმისათვის, ვინც

<sup>1</sup> თ. ლომოური. იქვე, გვ. 281—316.

<sup>2</sup> ე. აბრამიშვილი, ნოქალაქების, ჩიბათის, დვირის, გურჯაანის, ოპანიის, იდგუდას განძები (პუბლიკაციების ნითითება იხ. ქვემოთ სათანადო ადგილებში).

<sup>3</sup> E. A. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. I—VIII, Баку, 1926—1959 г.

<sup>4</sup> F. de Saulcy, Essai de classification des suites monétaires Byzantines, Metz, 1836.

<sup>5</sup> И. И. Толстой, Византийские монеты, вып. I, СПб, 1912, გვ. III, ავტორი აღნიშნავს, ამ ნაშრომზე „почтенный, но весьма непопулярный“.

<sup>6</sup> J. Saba-tier, Description générale des monnaies byzantines, т. I—II, Paris, 1862; ეს ნაშრომი განმარტებულია გამოცემა 1955 წელს კ. გრაკოვი, ავსტრია.

იკვლევს ბიზანტიურ ნუმისმატიკას, ერთად-ერთ ცოტად თუ მეტად სრულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს საბატეის ნაშრომი გამოცემული 1862 წელს. იგი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და, ამასთან, მრავალმხრივ მოძველებულდაც უნდა ჩათვალოს<sup>11</sup>.

1908 წელს ვ. როსმა გამოაქვეყნა ბიზანტიური მონეტების კატალოგი<sup>12</sup> ორ ტომად, 77 ტაბულით (I ტომს ერთვის 35 ტაბულა, II-ს კი 42). ეს კატალოგი, დიდად სასარგებლოა მონეტების განსაზღვრისათვის; ამასთან, მასში მოცემულია მოკლე ისტორიული მიმოხილვა და გამოკვლევა მონეტათა შესახებ; მნიშვნელოვანია აგრეთვე იქ დართული სხვადასხვა სახის საძიებლები და კარგად შესრულებული ფოტორეპროდუქციები.

ო. ტოლსტოი მაღალ შეფასებას აძლევს ვ. როსის ამ ნაშრომს და აღნიშნავს ბიზანტიური მონეტების ამ სისტემატური კატალოგის დიდ სამეცნიერო ღირებულებას<sup>13</sup>.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ვ. როსის მიერ 1911 წელს გამოცემული კატალოგი<sup>14</sup>, რომელიც მოიცავს ბიზანტიური მონეტების მიხედვით მოჭრილი მონეტების (მინაბადი) აღწერილობას. კატალოგში მოცემულია მოკლე ისტორიული მიმოხილვა, მონეტათა აღწერილობა, საძიებლები და მონეტათა ფოტორეპროდუქციები 42 ტაბულაზე.

1912—1914 წწ. ო. ტოლსტოიმ გამოსცა თავისი კოლექციის ბიზანტიური მონეტების კატალოგი 9 წიგნად<sup>15</sup>; წინასიტყვაობასა და ისტორიულ მიმოხილვას, სადაც გაშუქებულია თითოეული კეისრის მეფობის ხანა, მოსდევს მონეტების აღწერილობა; ტექსტში ჩართულია მონახაზები ან ფოტორეპროდუქცია იმ მონეტებისა (ე. საბატეის ან ვ. როსის კატალოგებიდან), რომლებიც არ იყოს დაცული არც მის კოლექციაში და არც ერმიტაჟის ბიზანტიური მონეტების ფონდში. ტექსტშივეა მოცემული მნიშვნელოვანი დაკვირვებები, ვარაუდები, დასკვნები

და კრიტიკული შენიშვნები. თითოეულ წიგნს თან ახლავს აღწერილი მონეტების შესანიშნავი ფოტორეპროდუქციები. ეს ძვირფასი გამოკვლევა, ამასთან ერთად, საუკეთესო დამხმარე სახელმძღვანელოს წარმოადგენს მონეტების განსაზღვრისათვის.

ბიზანტიურ მონეტებზე არსებული გამოკვლევები და წერილები თანდათანობით ქვემოთ იქნება განხილული საჭიროების მიხედვით. მაგრამ აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ თამარ ლომოური ის ნაშრომი<sup>16</sup>. რომელშიც ავტორმა რამდენიმე დიდად მნიშვნელოვანი დაკვირვება მოგვცა საქართველოში აღმოჩენილი XI საუკუნის ბიზანტიური მონეტების შესახებ; თ. ლომოური თავის გამოკვლევებში „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, დამინისში ნაპოვნი ნუმისმატიკური ძეგლების რკვევისას საგანგებოდ იხილავს აქ მოპოვებულ ბიზანტიურ მონეტებს და, ქართული წერილობითი წყაროების მოშველიებით, მიდის იმ დასკვნამდე, რომ „XI საუკუნეში შემოსული ბიზანტიური ფულები კიდევ ორი საუკუნის განმავლობაში განაგრძობდნენ მოქმედებას“<sup>17</sup>.

ჩვენი საუკუნის ოციან წლებიდან იწყება მონეტების ტოპოგრაფიისა და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომების გამოცემა.

1926 წელს გამოვიდა ე. პახოვის გამოკვლევის „Монетные кланды“<sup>18</sup> პირველი ნაკვეთი; მას შემდეგ ის სისტემატურად გამოდის და დღეისათვის დასტამბული უკვე რვა წიგნად; იგი იძლევა ძვირფას ცნობებს კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტების შესახებ.

პირველ წიგნს, რომელიც 1926 წელს გამოიცა, უძღვის მეცნიერული გამოკვლევა განძის მნიშვნელობისა და რაობის შესახებ; მონეტათა მოპოვების შემთხვევების ჩამოთვლისას მოცემულია მონეტების განსაზღვრა, მათი ზედწერილი, წონა და ზომა. დანარჩენი 7 ნაკვეთიც ასეთივე ხასიათისაა.

<sup>11</sup> И. И. Толстой, *დასახ. შრომა*, გვ. III.

<sup>12</sup> W. Wroth, *Catalogue of the Imperial Byzantine coins in the British Museum*, vol. I—II, London, 1908.

<sup>13</sup> И. И. Толстой, *დასახ. შრომა*, გვ. III.

<sup>14</sup> W. Wroth, *Catalogue of the coins of the Vandals, Ostrogoths and Lombards and of the Empires of Thessalonica, Nicaea and Trebizond in the British Museum*, London, 1911.

<sup>15</sup> И. И. Толстой, *Византийские монеты*, вып. I—IX, СПб, 1912—1914.

<sup>16</sup> თ. ლომოური, *ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში; შოთა რუსთაველის ეპოქის ბატერიალური კულტურა*, პროფ. ფ. ჯავახიშვილის რედაქციით. თბილისი, 1936.

<sup>17</sup> თ. ლომოური, *დასახ. შრომა*, გვ. 296.

<sup>18</sup> Е. А. Пахомов, *Монетные кланды Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Баку*, вып. I, 1926; вып. II, 1938; вып. III, 1940; вып. IV, 1949; вып. V, 1949; вып. VI, 1954. вып. VII, 1957; вып. VIII, 1959.

1935 წელს მ ო ს ე რ მ ა გამოსცა ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი<sup>19</sup>, სადაც მოხსენებულია საქართველოს მიწის წიაღში აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტებიც; ნაშრომს არ ახლავს არც გამოცემა და არც რუკა; იგი არ ხასიათდება სისრულთა და სიზუსტით.

1961—1962 წლებში ვ. კ რ ო პ ო ტ კ ი ნ მ ა გამოსცა ნაშრომი<sup>20</sup> ო რ წიგნად, რომელშიც შეტანილია ცნობები სსრ კავშირის ტერიტორიაზე რომაული და ბიზანტიური მონეტების აღმოჩენის შესახებ; წიგნს ახლავს გამოცემა და დართულია აქვს ცხრილები, რუკები და ტაბულები (ამ ნაშრომში შეტანილია ცნობები საქართველოში აღმოჩენილი მონეტების შესახებაც).

ასეთივე ხასიათისაა ვ. კ რ ო პ ო ტ კ ი ნ ი ს მ ე ო რ ე ნაშრომიც<sup>21</sup>. აქვე შეიძლება დავასახელოთ რ. ფ ა ს მ ე რ ი ს ბიბლიოგრაფიული ხასიათის ორი ნაშრომი<sup>22</sup>. 1926 წელს გამოცემულ ნაშრომში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების შესახებ ცნობები არ არის მოცემული, საპატივსაცემად ამ სახის ცნობები მოყვანილია 1929 წლის გამოცემაში; როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ საკითხით, თავის დროზე დაინტერესებულა არქეოლოგიური კომისიის ნუმისმატიკური სექცია.

ამგვარივე ხასიათისაა ა. ზ ო გ რ ა ფ ი ს 1945 წელს გამოსული ნაშრომი, ანტიკური მონეტების აღმოჩენათა გავრცელება კავკასიის ტერიტორიაზე<sup>23</sup>.

საქართველოს მიწის წიაღმა მეტნაკლებად შემოგვიანა ბიზანტიის ყველა კეისრის მონეტები, დაწყებული ამ მძლავრი სახელმწიფოს გამოჩენიდან ისტორიულ სარბიელზე.

საქართველოს მიწა-წყალზე მოპოვებული ბიზანტიური ნუმისმატიკური ძეგლები როგორც ისტორიული წყარო ძლიერ საყურადღებო ცნობებს იძლევა ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის გარკვევისათვის.

საქართველოში შემოსული და გავრცელებული ბიზანტიური მონეტების რაოდენობით შესაძლოა ერთგვარად გაირკვეს ცალკეული კეისრების

დროს ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის ინტენსიურობის სურათი და, ბოლოს, ეს ნუმისმატიკური ძეგლები უდავოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ყოველმხრივ შესწავლა-გარკვევისათვის, რამდენადაც ამ ურთიერთობას მრავალსაუფლოვანი მეტად შინაარსიანი ისტორია აქვს.

IV საუკუნის დამლევადან ისტორიის ასპარეზზე გამოდის რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი, რომლიდანაც თანდათან ჩამოყალიბდება ახალი პოლიტიკური ერთეული, რომელიც „ბიზანტიის იმპერიის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

დიდი რომის იმპერია, თავის მისწრაფებაში აღმოსავლეთის დაპყრობისაკენ, ადრინდევ იყო დაინტერესებული საქართველოში თავისი გავლენის დამყარება-განმტკიცებით.

რომის მონათმფლობელურ სახელმწიფოს ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დამლევისათვის „უკვე განვითარების დიდი გზა ჰქონდა განვლილი“<sup>24</sup> და იგი დაცემის გზაზე იდგა, რაც გამოწვეული იყო სავაჭრო გართულებებითა და შინაგანი სიძნელეებით. ამ ხანისათვის მონათმფლობელური წარმოება უკვე ხელისშემშლელი ხდება ეკონომიური განვითარებისათვის. ამას ემატება დაუსრულებელი ომები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევბოდა სახელმწიფოს ეკონომიკას. ეკონომიურმა დაუძლურებამ დააჩქარა რომის იმპერიის დაშლის პროცესი, 395 წელს კი თვით თეოდოსი კეისარი სახელმწიფოს უყოფს თავის ორ ვაჟს არკადიას და ჰონორის; აღმოსავლეთი რომი არკადის ხელს სამფლობელოდ, ხლო დასავლეთი—ჰონორის. ამ ორი, ფორმალურად თითქოს ისევ ერთნაირი იმპერიის განვითარება სხვადასხვა გზით წავიდა; თუ დასავლეთის იმპერია, გარკვეულ ისტორიულ პირობათა გამო, დაქვეითებას განიცდის, აღმოსავლეთისა, პირიქით, აღმავლობის გზით მიდის. აქ უკვე მოწინავე (იმ დროისათვის) ფეოდალური წარმოება იმარჯვებს და, გარდა ამისა ბიზანტიაში „შემავალი ვასალური ხალხები თავიანთი კულტურე-

<sup>19</sup> S. McA. Mosser, A bibliography of byzantine coin hoards, Numismatic Notes and Monographs, N 67, New-York, 1935.

<sup>20</sup> В. И. Кропоткин, Клады римских монет на территории СССР, М., 1961; Клады византийских монет на территории СССР, М., 1962.

<sup>21</sup> Шольц, Клады Римских монет Восточной Европы, ВДИ, № 4, М., 1951; Топография римских и ранневизантийских монет на территории СССР, ВДИ, № 3, М., 1954.

<sup>22</sup> Р. П. Фасмер, Список монетных находок зарегистрированных секцией нумизматики и глиптики АИМК. Сообщения ГАИМК, т. I, Л., 1926; Список монетных находок, Сообщения, т. II, Л., 1929.

<sup>23</sup> А. Н. Зорграф, Распространение находок античных монет на Кавказе, ТОНЭ, I, Л., 1945.

<sup>24</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 21.

ბით იმპერიას ბოლომდე (1453 წლამდე) კვებად-  
ნენ<sup>22</sup>. ბიზანტიის განვითარებაზე და კულტურაზე  
უდიდესი გავლენა იქონიეს აღმოსავლეთის ხალ-  
ხებმა<sup>23</sup> და ამ მოვლენაში საქართველოს და ქართ-  
ველებს თავისი განსაკუთრებული წვლილი მიუძ-  
ღვით.

თუმცა აღმოსავლეთ რომს „ძველი რომიდან  
კონსტანტინოპოლში ... გადმოჰყვა მართვა-გამგეო-  
ბის ზოგი ტრადიცია, ლათინური ენა..., მაგრამ ელი-  
ნისტური კულტურის გავლენაც იქ საკმაოდ დიდი  
იყო“<sup>24</sup>.

ავად. ს. ჭანაშიას შეფასებით „მომხდარი  
ცვლილება არსებითად ნიშნავდა სოციალურად  
ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვებას მონათმფლო-  
ბელობაზე“<sup>25</sup>.

ქართულ წერილობით წყაროებში ბიზანტი-  
ელებისა და ქართველების ურთიერთობას არკადი  
კეისრის დროიდან მიეღვენება თვალთ.

„არკადი კეისრის (395—408) დროს, დაახლო-  
ებით 395—404 წწ. შუა იბერიაში მეფედ ფარს-  
მანი დამჯდარა, რომელიც თავდაპირველად კეის-  
რის კარზე ცხოვრობდა, დიდი პატივისცემაც ჰქონ-  
და დამსახურებული და სპასალარადაც იყო“<sup>26</sup>.

არკადი კეისრიდან მოყოლებული, ეს ურთი-  
ერთობა საქართველოსა და ბიზანტიას შორის, ხან  
თითქოს მეგობრული, ხან ბრტყლი, აღარ შეწყვე-  
ტილა ბიზანტიის სრულ დაცემამდე.

თეოდოსი II (408—451) დროს ბიზანტიას, ში-  
ნაური აშლილობის გარდა, სპარსელებთანაც საო-  
მარი მდგომარეობა ჰქონდა. ამ გარემოებით შეწუ-  
ხებულმა კეისარმა ქართველებს ერთგულების სა-  
წინდრად მძევარი მოსთხოვა და ბუზმარ მეფემ,  
„ქართლის ცხ.“-ის სიტყვით, „წარმოავლინა ძე  
თჳსი მურვანოს, ათათხმეტისა წლისა (შემდეგ დი-  
დი ქართველი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი-  
ელი), მძევლად“<sup>27</sup>. იგი „სიყუარულით და ამბორის-

ყოფით მოიკითხეს მეფემან თეოდოსი და შეუღლე-  
მან მისმან ვედუცია, ყოელისა თანა სამეფუთისა ხა-  
თისა“<sup>28</sup>.

ამ დროს ლაზიკა ბიზანტიის მფარველობის  
ქვეშ იმყოფება, რაც „ნოით გამოიხატებოდა, რომ  
ლაზიკის სახელმწიფო ტახტზე ავაგლს მეფეს სა-  
მეფო უფლების ნიშნებს (გვირგვინისა და სხვ.) ბი-  
ზანტიის კეისარი უზაუნდია ხოლმე“<sup>29</sup>.

ლაზიკა კი „ურთიერთობისგანაც განთავი-  
სუფელებს ცილობადა და, ამის გამო, ბიზანტიის  
რისხვაც დაიმსახურა. დაზაგება ლონ I დროს მო-  
ხერხდა. ვუბაზ მეფე მიიწვიეს ბიზანტიაში. „მან  
თავისი ლაპარაკით სრულებით მოხიბლა მთავრობა  
და თავისი ქვეყანა განსაცდელს გადაარჩინა“<sup>30</sup>.

იუსტინე I დროს წათემ ბიზანტიაში ქრისტიან-  
ობა მიიღო და იქვე „თანამცხედრად რომაელი  
დიდებულის ქალი შეირთო..., როდესაც იუსტინეს  
მეგრ ლაზთა მეფედ იქნა ნაკურთხა“<sup>31</sup>.

იბერიაში კი ირანელებმა კვლავინდებურად  
ცეცხლთაყვანისმცემლობის გაბატონება მოიწადი-  
ნეს; ამის გამო ქართლის მეფე გურგენმა „შველა  
თხოვა იუსტინე I. კეისარმა თანხმობა განაცხა-  
და, დაუყოვნებლად გაგზავნა ბოსფორში პატრიკი-  
ოსი და საქორთო თანხაც გაატანა, რომ ჰუნები ქარ-  
თველებს მიშველებოდნენ“<sup>32</sup>. 535 წ. იბერიის მეფე  
შინე ვახო კეისარს კონსტანტინოპოლში და ერთ-  
გულუბას შეპირდა. იუსტინიანე კეისარს „დიდი პა-  
ტივი უცია მეფისა, დედოფლისა და დარბაისლები-  
სათვის, უზვადაც დაუსაჩუქრებია და შინ გაუსტუმ-  
რებია“<sup>33</sup>. მომდევნო საუკუნეებშიც ქართველ და  
ბიზანტიელ მმართველ წრეებს შორის მერტაკულად  
მშვიდი დამოკიდებულებაა. შემდეგაც კი, როდესაც  
საქართველოს სამთავროების გაერთიანება ხდება.  
„დამოკიდებულება ქართველ ამდროინდელ (VIII

<sup>22</sup> მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბილისი, 1954, გვ. 7.

<sup>23</sup> Византийский Сборник, 1945, гв. 4; Византийский Временник, V, 1952, гв. 292.

<sup>24</sup> საქართველოს ისტორია, I, დამატარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 88.

<sup>25</sup> ს. ჭანაშია, შრომები, I, გვ. 22.

<sup>26</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 236; მისივე, ქართული საზოგადოების ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 178.

<sup>27</sup> ქართულის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით, I, გაუხზი შვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 133, 1-2.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 133, 1-2.

<sup>29</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, 1960, გვ. 238; ს. გაუხიშვილი, გეორგიკა (ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ; შემდეგ კვლავან გეორგიკა. ტ. I, II, III, IV, V), ტ. II, ტფილისი, 1934, გვ. 46, II, 15.

<sup>30</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., I, 1960, გვ. 239.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 242; გეორგიკა, IV, ნაგ. I, თბილისი, 1941, გვ. 78.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 244; გეორგიკა, II, გვ. 22, I, 12.

<sup>33</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., I, 1960, გვ. 244

—X სს.) მეფეთა და ბიზანტიის კეისარს შორის გა-  
მოიხატებოდა იმითაც, რომ კეისარები მეფეებს თა-  
ვის საკარისკაცო პატივს უწყალობებდნენ ხოლ-  
მე<sup>32</sup>. ამასთან ერთად, X საუკუნეშიც ყველა უმნი-  
შვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა ბიზანტია-  
ში უმეტესად სომხებსა და ქართველებს ეჭირათ<sup>33</sup>.

გარდა ამისა, დავით კურაპალატმა „ბარდა  
სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლაში 977 წ. მომე-  
ვლებსა და სახელუან გამარჯვებისათვის“<sup>34</sup> ბიზან-  
ტიის კეისარ ბასილისაგან მიიღო „ზემონი ქუეყანა-  
ნი საბერძნეთისანი... რაჟთა თავისა სიციცხლესა  
ჰქონდნი“<sup>35</sup>.

დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ  
კეისარმა გაჩუქებული ადგილების უკან დაბრუნე-  
ბა გადაწყვიტა. ამის გამო, გიორგი I დროს, ბიზან-  
ტიასთან კვლავ უთანხმოება ჩამოვარდა; დავით კუ-  
რაპალატის სამფლობელოს უკან დასაბრუნებლად  
-გიორგი მეფე... შესესია საბერძნეთის საზღვრებს  
და ადვილად დაიპყრო ყველა ის ქვეყნები, რომლე-  
ბიც კეისარმა დავით კურაპალატის გარდაცვალე-  
ბის შემდეგ მოიპოვა“<sup>36</sup>. მაგრამ გიორგი I ბო-  
ლოს მიანიღო დამარცხდა. მძიმე ხარკი იყისრა და,  
ამასთან ერთად, თავისი მკორეწლოვანი შვილი ბაგ-  
რატი მძევლადაც გაგზავნა ბიზანტიაში. მატთანე  
ქართლისა ამ ზავის პირობებს ასე ვადმოგვეცემს:  
„დაზაუნეს, და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე  
თვისი ბაგრატ წელიწდისა სამისა და ციხენი რო-  
მელ პირველ გაეცნეს აზნაურთა დაუცულნი და მის-  
ცნა: სხუანიცა ციხენი პირველ მიცემულნი და  
უკანის თოთხმეტნი; და ქუეყანა, რომელი ჰქონდა  
დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არ-  
ტანთა და ჭავახეთს“<sup>37</sup>. ზავის მიუხედავად საქარ-  
თველო კვლავ იწარფის თავისი სამფლობელოების  
უკან დაბრუნებას. ბიზანტია კი მათს შემომტკიცე-  
ბას. ბაგრატ IV დროს ისევ დაზაუება მოხერხდა და  
კეისარმა თავისი მძისწული ელენე ბაგრატ IV-ს

ცოლად გაატანა<sup>38</sup>. საქმეს ვერც ამან უშველა. ბი-  
ზანტია თავისი ძველი მდგომარეობის აღდგენას  
ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა; გაძლიერებუ-  
ლი საქართველო ბიზანტიის მებრძობასაც კი ლა-  
მობდა, თუმცა ბაგრატ IV-ის ნახევარ ძმამ დემეტ-  
რემ ლალატით ანაკოფიის ციხე გადასცა ბიზანტი-  
ას<sup>39</sup>.

უფრო ადრე კი „აშოტ კისკისმა გურგენ მაგის-  
ტროსის მტრობით... გადასცა... არტანუჯის ციხე  
რომანოზ ლეკაპენს (920—944)“<sup>40</sup>. მაგრამ არტანუ-  
ჯის ციხე უკანვე ჩააბარეს და ამასთან ერთად „შე-  
შინებულმა კეისარმა აღმფრთხილებულს ქართველს  
ძთავრებს შემოუთვალა: არა ვიციდი რა... გადაბ-  
რალა რომანოზმა თავისი უღანაშუალო მოხელეს;  
თანაც საჩქაროდ ბრძანება გამოუგზავნა მას: ამ  
წამსვე არტანუჯის თავი დაანებე, ციხე ადარნასე  
კურაპალატის შვილს აშოტს გადაეცი და მისთვის  
კურაპალატობაც მიმინიჭებიაო“<sup>41</sup>. ეს ფაქტი მაჩეე-  
ნებელია იმისა, რომ ბიზანტიაში უკვე გრძობენ  
საქართველოს ძლიერებას და ანგარიშს უწყევენ მას.

XII საუკუნეში ბიზანტია საკმაოდ დასუსტე-  
ბულია: ქვეყნის შიგნით ტახტისათვის გაუთავებე-  
ლი ბრძოლა, აღმოსავლეთით თურქების შემოტე-  
ვა, დასავლეთით კი ჭვაროსნებისა, რომელნიც 1204  
წელს ბიზანტიას ხელში იგდებენ.

როგორც ქართული საისტორიო წყაროებიდან  
ჩანს, თამარ მეფის დროს ქართველებმა და ბიზან-  
ტიელებს შორის ურთიერთობა კვლავ გართულე-  
ბულა, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის-ბასილ  
ეზოსმოძღვრის ცნობით, თამარმა მონაზუნებს მო-  
ნასტრებისათვის გაატანა „ლიდსალი ოქროს, თთ  
მითათს და ყოველთა მონასტერთა გასაყოფლად“<sup>42</sup>.  
მაგრამ გზად მყოფი ქართველი ბერები ალექსი ან-  
გელმა (1195—1203), გაძარცვა, და თამარი იძულე-  
ბული შეიქმნა გაელაშქრა ბიზანტიის წინააღმ-

<sup>32</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ., ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 108.

<sup>33</sup> М. В. Левченко. История Византии, М.—Л., 1940, გვ. 106.

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ., II, გვ. 126.

<sup>35</sup> გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ვფთჳმესი, თბილისი, 1946, გვ. 19; 20.

<sup>36</sup> В. Розен, Василий Болгаробийца, გვ. 61; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., II, გვ. 132.

<sup>37</sup> მტკიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 288ა-ბ.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 294ა-ბ.

<sup>39</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 295, 10-12 მტკიანე ქართლისა აღნიშნავს რომ „წარვიდა სამეფოსა მისგან, და მი-  
წართა ბერძენთა მეფესა, და წარტანა თანა ანაკოფია. და მიერთიანა წარტედა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქა-  
ენამდღევ“.

<sup>40</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 109.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 109—110.

<sup>42</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბილისი, 1944; გვ. 31.

დგე<sup>48</sup>. „ამ ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა ლაზიკა დაიპყრო, ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნი, კოტორა აიღო და ერაკლიამდის მიაღწია. მთელი ეს შავიზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო საქართველოს მთავრობამ ბიზანტიას ჩამოართვა და ცალკე საეპისკოპოსო შექმნა ისე, რომ საქართველო უკვე ვადიოებულა, ბიზანტია და თურქ-სელჩუკების შემოტევაც მომზარდა და აღმოსავლეთში საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკურ ძალად იქცა<sup>49</sup>. მიუხედავად ამისა, თუმცა კანტიკუნტად, მაგრამ ჩვენ მაინც გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე ამ დროის ბიზანტიურ მონეტებს.

ჩვენში, ბიზანტიის ამ დროის მონეტების აღმოჩენის 8 შემთხვევაა აღრიცხული.

საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობაში უდიდესი როლი ეკუთვნის ირანს, რამდენადაც ირანსა და ბიზანტიას შორის წარმოებული განუწყვეტელი ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის ეხებოდა საქართველოს ტერიტორიას. რომელზედაც ვადიოდა უაღრესი მნიშვნელობის სავაჭრო გზები.

ბიზანტია-ირანის მეტოქეობის და ომების ასპარეზად იბერია და ლაზიკა გახდა.

ირანის გაძლიერებულ აგრესიას ქართლის ორად გაყოფა მოჰყვა. ქართლის ერთ ნაწილში ირანმა ვარაზ ბაკური გაამეფა. ხოლო „ამავე დროს იბერიაში აღმოსავლეთი რომის იმპერიის მფარველობით მეფობდა... ფარსმანი (395-413, დაახლოებით)“<sup>51</sup>.

ამრიგად, ქართლის ერთ ნაწილში ირანელები დამკვიდრდნენ, ხოლო მეორე — ლაზიკასა და აღმოსავლეთ რომის დაუკიდებელი. მიუხედავად ამისა ქართლი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის როგორც ირანის, ისე ბიზანტიის წინააღმდეგ.

„თვით ქართველებმა ნატურისა და მისწრაფების ერთადერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო. არც ბიზანტიისა, არც სპარსეთის ბატონობის მოტრფიალედ ლაზიკა და

იბერია არას დროს არა ყოფილან; როდესაც ქვეყანა ბიზანტიის ხელში იყო და მისი მოხელეების ბოროტებისაგან სამეფო ილაჩაფაყვერები იყო, ხალხი სასანელად შაჰებს ემხრობოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბერძნები ვანდლენათ და თავისუფლება მოეპოვათ; ამგვარადვე ბიზანტიელებს სთხოვდნენ ხოლმე შეეღას, როცა ქვეყანას სპარსეთი აწუხებდა. ორ წყალს შუა მყოფი ქართველობა ცდილობდა მციოდე სახელმწიფოების მეტოქეობით ესარგებლა და თავისი მღვამარობა გაეუმჯობესებინა“<sup>52</sup>.

ბიზანტია ყოველ ძალას ხმარობს ლაზიკის შემსარჩუნებლად, რადგან მასზე გავლით გზა კასპის ზღვას აღწევდა. საიდანაც ჩრდილოეთის გზით შეიძლებოდა უკვე სოვღიანის ოაზისის გავლა, რითაც სპარსეთის ტერიტორიას გზა აეჭკეოდა.

„ინდოეთიდან დიდი სავაჭრო გზა იბერიასა და ლაზიკაზე მიემართებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის ნავთსადგურისაკენ“<sup>53</sup>.

სტრატონის მიხედვით მდინარე ოქსი სანაოსნოა და ამ მდინარით ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ პირკანის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვარისა და მისი მომდევნო ადგილების გავლით ევქსინის ზღვამდე ჩააქვთ“<sup>54</sup>.

პროფ. გ. გოზალიშვილის დასკვნით „ინდოეთისა და შორეული აღმოსავლეთიდან საქონელი მოჰქონდათ კასპიის ზღვამდის, აქედან კი ჭერ მტკვარისა და მერე რიონის საშუალებით ზღვის ნაპირის ქალაქ ფაზისში შეჰქონდათ“<sup>55</sup>. ეს დიდი სავაჭრო გზა ეგრეთ წოდებული აბრეშუმის გზა ბიზანტიის აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა; მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე კავკასიაზე გამავალი გზები

თვით საქართველოც საქაოდე ყოფილა გზებით დასერლი.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით „დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს აღებ-მიცემობას ამ დროს ორი მთავარი სავაჭრო გზა ჰქონდა; ერთი

<sup>48</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ჯავახიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 142.

<sup>49</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია. XI—XV საუკუნეები (მოკლე მიმოხილვა), თბილისი, 1949 გვ. 81;

<sup>50</sup> საქართველოს ისტორია. 1958, გვ. 206.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 91.

<sup>52</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, I, 1960, გვ. 269.

<sup>53</sup> გ. გოზალიშვილი, ბიზანტიისა და ირანის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXVII B, თბილისი, 1944, გვ. 128.

<sup>54</sup> თ. ყავუხიშვილი, სტრატონის გეოგრაფია, თბილისი, 1957. წიგნი XI, თავი VII, 3.

<sup>55</sup> გ. გოზალიშვილი, დასავ. შრომა, გვ. 132.

იყო სამხრეთისა და სომხეთის ქალაქს ღვინში მი-  
ღლოდა... მეორე, და მთელ საქართველოსათვის  
უშთავრისი, სავაქრო გზა დასავლეთისა და შვეი  
ზღვის ნაპირის მდებარე ნავთსადგურისაკენ მიდი-  
ოდა. იქ მოქონდათ უცხოეთიდან. მეტადრე ბი-  
ზანტიიდან. სავაქრო საქონელი<sup>54</sup>.

როგორც ისტორიული ცნობები მოწმობენ. ბი-  
ზანტიას განსაკუთრებული ეკონომიური და. აქე-  
დან, პოლიტიკური ინტერესები იზიდავდა ამიერ-  
კავკასიაში და. კერძოდ. საქართველოში. ბიზან-  
ტიისა და ირანის ინტერესების შეხლა ამ ტე-  
რიტორიაზე აბულებდა ბიზანტიას შემოყვანა ჭა-  
რი ლაზიკაში და აეგო ციხე-სიმაგრეები. რაც გან-  
საკუთრებით აღინიშნება ანასტასი კეისრის (498—  
518) დროიდან. როდესაც უკიდურესად გამწვავდა  
ურთოერთობა ირანთან<sup>55</sup>.

აქად. ს. ჭანაშიას გამოკვლევით ვაქრობა რომ-  
სა და საქართველოს შორის უშთავრესად ზღვის  
გზებით წარმოებდა<sup>56</sup>. პროკაპი კესარიელის ცნო-  
ბით ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავებით. რომ-  
აელთა სანაპიროებიდან<sup>57</sup>. და „მუდამ აწარმოებ-  
დენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო  
ვაჭრობას“<sup>58</sup>. სახელეთო გზას აჯად. ს. ჭანაშია ასე  
ახსიათებს: „სვესტროპოლისიდან უკვე მაშინაც.  
რე როგორც შემდეგში. გზა გადიოდა ჩრდ. კავკასი-  
აში. ეს გზა კოლონის ხეობას მიჰყუებოდა... ჩრდი-  
ლოეთისაკენ იგერის სხვა გზებიც ქქონდა: ენგურის  
ხეობით. სვანეთზე, და ჩოჩის ხეობით“<sup>59</sup>. ამ გზე-  
ბით სავაქროების შემთხვევაში ჩრდილო კავკასიი-  
დან დამხმარე ძალის გადმოყვანაც შეიძლებოდა.

ირანს ბიზანტიის დამარცხება სწადა, მაგრამ.  
ორჯერ თვით განიცადა უღიდეთი დამარცხება ბი-  
ზანტიელებთან—ერთხელ არხაიოპოლისის მახ-  
ლობლად. მეორედ ფაზისთან (ფოთთან)<sup>60</sup>.

ბიზანტია-ირანს შორის ლაზიკის გამო წარ-  
მოებული დავა 562 წლის საზავო მოლაპარაკებით  
ვერ მოთავდა. უაღრესი სიმწვავეთ დადა სვანეთის  
საკითხი, არც ერთი მხარე არ თმობდა მას, რადგან  
„სვანეთიდან შუა ლაზიკაში შესასვლელი გზა უნდა  
ყოფილიყო, რომელიც ირანელებს საშუალებას აძ-  
ლევდა ლაზიკაში ისე შეჭრილიყვნენ, რომ მოწინა-  
აღმდეგისათვის გვერდი აეკეთათ და იერში უშუა-  
ლოდ პირდაპირ ლაზიკაზე მიეტანათ. აქ მუდამე-  
ლობაში იყო მიღებული. განსაკუთრებით, იმერია-  
ლაზიკის საზღვარზე და საერთოდ კი ლაზიკის სხვა-  
დასხვა ციხე-სიმაგრეში მდგომი ბიზანტიელთა ჭა-  
რი“<sup>61</sup>. სვანეთი საცილობელი გახდა, რამდენადაც  
ეს მხარე მიუხედავად უშინშენლო ტერიტორიისა  
თავისი მდებარეობით ხელსაყრელი იყო რომაელთა  
სახელმწიფოსათვის, რადგან ხელს უშლიდა ირანს.  
მისი საშუალებით შეჭრილიყო ლაზიკის ტერიტო-  
რიაზე<sup>62</sup>.

გარდა ამისა, სვანეთზე ჩრდილოეთიდან შემო-  
სასვლელი გზის ჩაკეტვაც შეიძლებოდა, რამდე-  
ნადაც „სვანეთი სკვითთათვის კავკასიაში გამო-  
სასვლელი გზა იყო“<sup>63</sup>. სტრატეგიული მნიშვნელო-  
ბის გარდა სვანეთს ეკონომიური მნიშვნელობაც  
უნდა ჰქონოდა—რადგან, სტრამონის მოწმობით,  
სვანეთში ოქრო მოიპოვებოდა. ამ ვითარებაში  
ბიზანტია ლაზიკაში თავს თავისუფლად ვერ გრძნო-  
ბდა, რადგან ზურგში ირანი ეგულებოდა. 565  
წელს, იუსტინე II-მ ტახტზე ასკოლისთანვე სვანე-  
თის დაბრუნება სცადა, მაგრამ ამჭერადაც უშე-  
დეგოდ. მხოლოდ 576—577 წლის საზავო მოლაპ-  
არაკების დროს ითარაელში ბიზანტიელები აღარ აყე-  
ნებენ სვანეთის საკითხს<sup>64</sup>. ამრიგად იუსტინე II კე-  
ისრობის დროს 575 წელს სვანეთი, როგორც ჩანს,  
ბიზანტიელთა ხელშია<sup>65</sup>.

<sup>54</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, I, 1960, გვ. 247.

<sup>55</sup> გეორგიკა, ტ. III, ტფილისი, 1936, გვ. 302.

<sup>56</sup> ს. ჭანაშია, შრომები, I, გვ. 46.

<sup>57</sup> გეორგიკა, ტ. II, გვ. 67.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 46.

<sup>59</sup> ს. ჭანაშია, შრომები, I, გვ. 47.

<sup>60</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, I, 1960, გვ. 258.

<sup>61</sup> ა. გოხალიშვილი, დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის, ტფილისის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის შრომები, III, თბილისი, 1936, გვ. 222.

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 223.

<sup>65</sup> გეორგიკა, III, გვ. 228.

<sup>66</sup> ს. ყაუხჩიშვილი და თრ. ბერაძე, სვანეთის ხელმოკლე აღება ბიზანტიელების მიერ, თბილისის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის შრომები, VII, თბილისი, 1936, გვ. 96.

<sup>67</sup> იქვე.



შემდეგში, როდესაც ვითარება შეიცვალა და ირანში შინაურმა არეულობამ იჩინა თავი, შევიწროებულ ხოსრო II-ს ბიზანტიის კეთილშეშობის მფარველად და ხოსრომ დაიბრუნა სამეფო ტახტი, „ამ დახმარების სამადლობლად ხოსრო II-მ... იბერიის მომეტებული ნაწილი ქ. თბილისამდე მავრიკი კეთილს გადასცა (591 წ.)<sup>70</sup>. ბიზანტიელებს იბერიაში ბატონობა დიდხანს არ დაცალდა, „როცა კეთილს მავრიკის ფოკა აუჭანუდა და მავრიკი მოკლა, მაშინ ხოსრო II-მ 604 წ... ბერძნებს ომი აუტეხა“<sup>71</sup>. ბიზანტიელები დამარცხდნენ და, ალბათ, იბერია მაშინ დაკარგეს. ირანელების ამ თარეშს VII საუკუნეში ბოლო მოუღო ირაკლი კეთილსა. „პერსიულ კეთილს გამარჯვების შემდეგ, აღმოსავლეთი საქართველო ისევ ბიზანტიის ხელში გადავიდა“<sup>72</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდში შექმნილი სიტუაციის ცხადად დასტურებენ მოპოვებული ნუმისმატიკური ძეგლები.

ირანს თავისი მისწრაფება საქართველოში დამკვიდრებისა შემდეგშიც არ შეუწყობია. მაგრამ, ძალთა ფარდობა ისეთი აღმოჩნდა, რომ „ლახია ისევ ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ დარჩა და საკუთარი მეფობა და შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნა“<sup>73</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოში (იბერიაში) ეს ორი მძლავრი სახელმწიფო ზოგჯერ ერთდროულად ბატონობს და ამის შესაბამისად აქ ორივე ქვეყნის ფულს ჩამბული ნიმუშებიცაა, რაც აგრეთვე თვალსაჩინოდ დასტურდება მოპოვებული მონეტებით.

ამრიგად, ბიზანტიური ფულის პარალელურად იბერიაში სასაწილო ფულს არის ნიმუშებიცაა. ლახიაში სასაწილო ნიმუშები ჩამდენჯერმე მოახერხეს გადასვლა, მაგრამ იქ ამ უკანასკნელთა მონეტებზე ძალიან იშვიათია. ე. პახომოვის დაკვირვებით „III-დან VI საუკუნემდე ჩვენ ვერ ვხვდებით საქართველოში სხვა მონეტას, გარდა სასაწილოს, რომელიც შივლად გვხვდება მის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში. დასავლეთ საქართველოში იგი შეტარდ მცირე

რაოდენობითაა: როგორც ჩანს, ქვეყნის ეს ნახევარი, რამდენადაც ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მისი მონეტით სარგებლობდა“<sup>74</sup>. მართლაც, დასავლეთ საქართველოში სასაწილო მონეტები კანტიკუნტად გვხვდება; მათი მოპოვების სულ 4 შემთხვევაა აღრიცხული. აქედან: 1 აღმოჩენა ციხის ძირშია აღრიცხული, 2—საჩხერის მიდამოებში, 1—ხესტაფონთან, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს უკანასკნელი ორი ადგილი მაშინდელი იბერიის მოსაზღვრეა. ვარაუდით, იმ პოლიტიკურ სიტუაციის და გაუთავებელი ომების გამო აქ მოსალოდნელი იყო სასაწილო მონეტების უფრო მეტი რაოდენობა. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სასაწილო აქ ბიზანტიური ფულით სარგებლობდნენ? იბერიაში კი, პირიქით, ბიზანტიური მონეტების აღმოჩენის 27 შემთხვევაა აღრიცხული. როგორც ჩანს, იბერიაში ამ პერიოდში ორივე დამპყრობელის ფული იყო მიმოქცევაში.

VI საუკუნის მეორე ნახევარში, პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების შეცვლის გამო, აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარი ეროვნული ფულის მოჭრის საქმეების საკითხი დადგა.

სასაწილებს, აკად. ივ. ჭავჭავაძის გამოკვლევით, „იმოდენსა გავლენაა ჰქონილი, რომ თითო უძველესი ქართული, ფულები სასაწილოთა ფულების ყალიბზეა მოჭრილი“<sup>75</sup>.

ამრიგად, სასაწილების ბატონობამ თავისი კვალი ამ მგრძობობაზე ძეგლს—ნუმისმატიკურ ფაქტსაც დააჩინა, და როცა დადგა საკუთარი ქართული ფულის გამოშვების საკითხი, მოიჭრა იმ დროისათვის საკმაოდ გავრცელებული სასაწილო მონეტის ტიპის მიხედვით. საქართველოში მოჭრილი ასეთი მონეტების შესახებ ე. პახომოვი წერს: „VI საუკუნის—მეორე ნახევარს მიეკუთვნება, ჩვენამდე მოღწეული პირველი, ქართული ეროვნული მონეტები“<sup>76</sup>. ეს მონეტები ცნობილია ქართულ-სასაწილო“<sup>77</sup> მონეტების სახელით. ისინი ტიპით სასაწი-

<sup>70</sup> ივ. ჭავჭავაძის ფული. ქართული ფრის ისტორია, I, 1960, გვ. 260.

<sup>71</sup> იქვე.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 266.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 268.

<sup>74</sup> E. A. Пахомов, Монеты Грузии, ч. I, домонгольский период. Записки нумизматич. отделения, ИРАО, т. I, вып. IV, СПб, 1910, გვ. 14.

<sup>75</sup> ივ. ჭავჭავაძის ფული, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფილისი, 1907, გვ. 87.

<sup>76</sup> E. A. Пахомов, Монеты Грузии... გვ. 15.

<sup>77</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბილისი, 1950, გვ. 37, მისივე, რამდენიმე წინაშეა გ. წ. ქართულ-სასაწილო დარბების შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VI, № 1, 1945, გვ. 81—88.

რია მხოლოდ მონეტის კედზე ქართული მთავრული შერწყმულად მოთავსებულია: ლნ, ზნლ, ჯნ და სხვა. შემდეგ მონეტაზე გამოსახულ სამსხვერპლოზე უკვე ჯვარია აღმართული და ერის მთავრის სტეფანოს I და სტეფანოს II სახელებია დაქარაგმებით აღებული.

იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდში ბიზანტიური და სასანური ფული ერთდროულად მიმოქცევაშია, მოწმობს თბილისში 1904 წელს აღმოჩენილი ბიზანტიური და სასანური მონეტების განიშ<sup>70</sup>, თუმცა ამ განიშის შესახებ გარდა ლტერატურული ცნობებისა არაერთი ფაქტური მასალა არ მოგვეპოვება (ყოველ შემთხვევაში ეს მონეტები . რ არის აღრიცხული არც ერთ საცავში). ასეთივე შერეული განიშ აღმოჩენილია 1956 წელს ლენინაკანში<sup>71</sup>.

გარემოებათა შესაბამისად იბერია და ლაზიკა ხან ბიზანტიას და ხან ირანს უქერდნენ მხარს. თვით ირანი და ბიზანტია, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოზე ბატონობისათვის, მიუხედავად დაზავებისა ზოგიერთ პერიოდში ამა თუ იმ ტერიტორიული დამოკიდებულების მიხედვით იყვნენ. ბიზანტიასა და ირანს შორის დაღებული საუკუნო ზავით იბერია ირანს დარჩა, ხოლო ლაზიკა—ბიზანტიას. ბიზანტიელებმა—ლაზიკის დაკარგვის შიშით—ლაზიკაში ჯარი გავაზენეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ბიზანტიელებმა ლაზიკაში ჯარი ჩააყენეს<sup>72</sup>. ამასთან ერთად . იუსტინიანე კეისარმა გუბაზს და ლაზებს ფული მიასველა<sup>73</sup>. აგრეთვე იუსტინიანემ ტაძარი წმინდისა ღვთისმშობლისა აღაშენა აფხაზეთს შინა. ბიუენტას<sup>74</sup>. ვასალურ მდგომარეობაში მყოფი ლაზთა მეფეები სამეფო ნიშნებს ბიზანტიელი კეისრებისაგან იღებდნენ; თავის მხრივ ლაზები ჩრდილო-კავკასიისაკენ მიმავალ გზებს იცავდნენ. სამაგიეროდ. შავი ზღვის სანაპიროზე გასულია და ვაპრობის ნება არა ჰქონდათ—საბაჟოსი და ვაპრობის საქმე მთლიანად ბიზანტი-

ელთა ხელში იყო. ბიზანტიელთა ჯარის უფროსმა იონანე ციბემ იმ ზომამდე მიიყვანა საქმე, რომ ლაზებმა ირანელებს მიმართეს დახმარებისათვის, მაგრამ ხოსროს მიზანმიმართება ჩქარა გამოიკვია, ქართველები კვლავ ბიზანტიელებს მიუბრუნდნენ და საერთო ძალით დაამარცხეს ირანი. თუმცა, როგორც ზეითი იყო მოხსენებული, „თვით ქართველების ნაგერისა და მისწრაფების ერთადერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო. არც ბიზანტიისა, არც სპარსეთის ბატონობის მორტავილად ლაზიკა და იბერია არასდროს არ ყოფილა“<sup>75</sup>.

VII საუკუნეში ირანის სახელმწიფო ირაკლი კეისარმა დაამარცხა, მისი ყველაზე ძლიერი მოკავშირეების ქართველების დახმარებით<sup>76</sup>. ამის შემდეგ „აღმოსვლით ერაკლე კეისარმან გზა რანისა და მეორად შემოვიდა ქართლად“<sup>77</sup> აქედან „მოვიდა ერაკლე მეფე და მოადგა ტფილისსა“<sup>78</sup>. თბილისი აიღეს ხაზარებთან ერთად და გაძარცვეს, თუმცა ბიზანტიელების ხელში კი არ გადასულა, ისინი მხოლოდ სამხედრო სამსახურსა და ერთგულებას მოითხოვდნენ.

ამ დროს დასავლეთ საქართველოში ლაზიკის მეფეები უკვე აღარ იხსენიებიან; ლაზიკის მართველები პატრიკიოზის წოდებას ატარებენ და ლაზიკა ეკონომიურადაც დამოკიდებული ჩანს. აღმოსავლეთ საქართველოს ერისმთავარი მართავს; რადგან ბიზანტია ისწრაფოდა ამ შორეულ მხარეში ერთგული და ძლიერი მოკავშირე მმართველი ჰყოლოდა, ბიზანტიის კეისრები ამ მხარის საქვამპყრობელთა განსაკუთრებულ პატივს მოუპყრობდნენ და ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მათს გაძლიერებას<sup>79</sup>.

განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს მკიდრო ეკონომიური კავშირი მეზობელ დიდ სახელმწიფოებთან მდლანდებდა უკანასკნელთა საფას-საზომების გავრცელებაში ჩვენს ტერიტორიაზე“<sup>80</sup>. VI საუკუნის I ნახ. და

<sup>70</sup> E. A. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья, вып. 3 (I) Баку, 1926, № 59.

<sup>71</sup> М. И. Камера, К. В. Голенко, Ленинанский клад сасанидских и византийских монет (1956).

В. В. т. XIX, Москва, 1961, გვ. 172—193

<sup>72</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, I, 1960, გვ. 246.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 251.

<sup>74</sup> ჯ უ ა ნ შ ვ რ ი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 215<sub>1</sub>.

<sup>75</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, I, 1960, გვ. 269.

<sup>76</sup> საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 113.

<sup>77</sup> ჯ უ ა ნ შ ვ რ ი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 231<sub>1</sub>.

<sup>78</sup> იქვე, გვ. 224<sub>1</sub>.

<sup>79</sup> საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 114.

<sup>80</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 96.

VII საუკუნის პირველ ნახევარში ლაზიკაში უშთავრესად ბიზანტიური ფული გვხვდება— დასავლეთ საქართველოში ბიზანტიური ფულის აღმოჩენის 28 შემთხვევაა აღრიცხული (აქვეაღნიშნაში განძა ბიჭვინტის, ნოქალაქევისა და ჩიბათის), აღმოსავლეთში კი—22.

ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში შექმნილ ვითარების ნათელ სურათს ნუმისმატიკური ფაქტები იძლევა:

IV-დან VI საუკუნემდე მიმოქცევაშია ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. ამ ხანის ოქროსი და სპილენძის მონეტების განძებიც არის აღრიცხული: სმეკალოვკის (№ 37)<sup>85</sup>, ნოქალაქევის (№ 52) და ბიჭვინტის № 35) —ეს უკანასკნელი სპილენძის მონეტების განძია.

VII საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის ძნელბედობის ხანა უდგას, იგი მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა, იქ ოქროს მონეტები მინც იჭრება; საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანო ჩიბათის განძის (№ 61) შედგენილობა, ხოლო ამ საუკუნის ვერცხლის მონეტები აღრიცხულია თბილისში (№ 63), წინწყაროში (№ 64, 66), მცხეთაში (№ 67), ქორეთში (№ 70, 71), ჭანდრებში (№ 71), ყებოტაში (№ 74).

ბიზანტიის საფინანსო მდგომარეობის გამოსასწორებლად და სახელმწიფო შემოსავლის გასაღიღებლად, ჯერ კიდევ ანასტასი I დროს, საქირო გამხდარა სათანადო რეფორმის გატარება<sup>86</sup>.

ანასტასი I მიერ 498 წ., სპილენძის ფულადი სისტემის მოსაწესრიგებლად, შემოღებულ იქნა მონეტაზე ღირებულების აღნიშვნა ასო-ციფრებით; სპილენძის ფულის ეს სისტემა IX საუკუნის მეორე ნახევრამდე (ბასილი I) გავრცელებულა<sup>87</sup>.

სწორი ომანობის გამო მიხერია იუსტინიანე I დროსაც კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა; მომდევნო VII საუკუნე კი ერთერთ უძძიმეს პერიოდს შეადგენს ბიზანტიის ისტორიაში<sup>88</sup>.

შემდეგ, ირაკლის კეისრობის დროს, იმპერიის

მდგომარეობაში თითქოს შემობრუნება ხდება. ირაკლი კეისარმა გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები<sup>89</sup>.

ხანგრძლივმა ომებმა იმპერიის ფინანსებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა და ირაკლის წინაშე დაისვა ქვეყნის კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოყვანის საკითხი. ამ მიზნით მან გაატარა საფინანსო რეფორმა. ამავე მოსახრებით 622—623 წელს მან გადაადნობნა საეკლესიო პურქველი მოჭრა ოქროსი და ვერცხლის მონეტები და... ამით საშუალება მიეცა მცირე აზიაში ახალი სისტემით შეექმნა ჯარი<sup>90</sup>.

ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების გატარებამ მისცა საშუალება ირაკლის მოეჭრა მძიმე, ოქროს ფულის შემცველი ვერცხლის მონეტები, თუმცა, როგორც ითქვა, ოქროს მონეტების მოჭრაც არ შეუწყვეტიათ.

ირაკლის მიერ ამ სფეროში ჩატარებულ ერთერთ ღონისძიებას წარმოადგენდა მიმოქცევაში ახალი უფრო დიდი ნომინალის ვერცხლის მონეტების—უფრო მძიმე ჰექსაგრამების ორმაგი მილიარესების შემოღება, რომელთა წონითი მიმართება ძველ ვერცხლის ნომინალებთან შეადგენდა 2:1 (სოლიდის უდრის 1; მილიარესს, ე. ი. 7 ორმაგი მილიარესისა). ამ რეფორმის შედეგად ფულის მიმოქცევაში ვერცხლმა მნიშვნელოვანწილად აიღო ოქროს ფუნქციები და მონაწილეობას იღებდა დიდი მოცულობის ანგარიშსწორების დროს უცხო ბაზრებზე, სადაც ბიზანტიური ოქროს „ბუზენტო“ საერთაშორისო ვალუტის როლს ასრულებდა<sup>91</sup>.

როგორც ხედავთ, შექმნილი მძიმე ეკონომიური ვითარებიდან გამოსავალი, ახვა ღონისძიებებთან ერთად, ირაკლიმ ვერცხლის ახალი მძიმე წონის მონეტის გამოშვებამაც ნახა.

ისტორიული სურათის სრული გარკვევისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მონეტების მოჭრა VII საუკუნის დამლევებიდან რაოდენობრივ ძლიერ კლებულა<sup>92</sup>. ამას უნდა დასატურებდეს ისიც, რომ

<sup>85</sup> ეს ნომრები აქ და შემდეგ ნაშრომში ჩამოთვლილი განძების გავრცელების რიგითი ნომერია.

<sup>86</sup> В. В. Кропоткин, Клады Византийских монет... — стр. 10.

<sup>87</sup> М. В. Левченко, История Византии, М.—Л., 1940, стр. 48.

<sup>88</sup> Г. Ф. Герцберг, История Византии, Москва, 1897, стр. 85; А. Н. Зограф, Античные монеты, Материалы и исследования по археологии СССР, № 16, М.—Л. 1951, стр. 55.

<sup>89</sup> Ш. Дизъ, Основные проблемы византийской империи, М., 1947, стр. 47.

<sup>90</sup> Ф. Успенский и, История византийской империи, II, стр. 647.

<sup>91</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ლექსები ბიზანტიის ისტორიიდან, პირველი წიგნი, IV—VII საუკუნეები. თბილისი. 1948, გვ. 151.

<sup>92</sup> Л. Н. Казванова, Барынский клад Византийских серебряных монет VII века, Нумизматический сборник, ч. II, Москва, 1947, стр. 71.

и А. П. Кашдан, Г. Г. Литарин, Очерки истории Византии и Южных славян, Москва, 1958, стр. 32.

ჩვენში მომდევნო VIII საუკუნის ბიზანტიური ოქროს მონეტების აღმოჩენის მხოლოდ ორი შემთხვევა აღრიცხული. სახელდობრ: ბიკინტაში (№ 84) და სოხუმში (№ 85). აღმოსავლეთ საქართველოში IX საუკუნის ბიზანტიური სპილენძის მონეტების აღმოჩენის სამი შემთხვევა აღრიცხული; დასავლეთში რვა. სამხრეთ საქართველოში—ბიზანტიური ვერცხლის მონეტის აღმოჩენის ერთი შემთხვევა დადასტურებული (ოპიზა № 92).

ამრიგად, VIII და IX სს. ყველაზე მიყრუებულ ხანად გვევლინებიან. ეს პერიოდი არაბების ბატონობის ხანას ემთხვევა და გასაგებია ბიზანტიური მონეტების სიმცირე. თუმცა როგორც დავინახეთ, ამ ხანის მონეტების აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევა მაინც არის აღრიცხული: ბიკინტა (№ 84); სოხუმში (№ 85); დმანისი (№ 86) ბობოყეთი (№ 89); ოკამი (№ 88); ქობულეთი (87, 90); ციხისძირი (№ 91).

რაც შეეხება ვერცხლის მონეტებს, მათი პოვნის ერთი შემთხვევა აღრიცხული ოპიზაში; მართალია, ამ ხანის ბიზანტიური ვერცხლის მონეტები საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების ფონდში არის დატული. მაგრამ მათ მოპოვების ცნობები არ ახლავთ.

X საუკუნის დასასრულიდან ოქროს მონეტების შემოსვლა კვლავ იწყება და XI საუკუნეში უკვე ამ მონეტების განძები არის აღმოჩენილი: დვირის (№ 169); გურჯაანის (№ 205); იღუმალასი (№ 200) და ამასთან ერთად ამ მონეტების დასახელების ცნობები არის შემოსული.

მომდევნო საუკუნეებში ოქროსი და სხვა ლითონის მონეტების შემოსვლამ საგრძნობლად იკლო, თუმცა, როგორც ითქვამს, არ შეწყვეტილა და მეტნაკლებად ბიზანტიური მონეტები იმპერიის დასასრულამდე მაინც ტრიალებდა ჩვენს ქვეყანაში.

VII საუკუნეში, როდესაც ამიერკავკასიაში ბიზანტიის ძალაუფლება იყო გავრცელებული, გამო-

ჩნდა ახალი მარბიელი ძალა—არაბები. მათ პირველ საქრობას შედეგი არ მოჰყოლია<sup>92</sup>. მაგრამ VII საუკუნის მიწურულში პოლიტიკური ვითარება იმდენად შეიცვალა, რომ არაბები დასავლეთ საქართველოშიც ჩანან. „705—711 წწ. მათ ხელში ყოფილა ეგრისის დედაქალაქი არქეოპოლისი: ანუ... ციხე—გოჯი (დღევანდელი ნოქალაქევი) და კოლორის ხეობაში მდებარე ზოგიერთი ციხე“<sup>93</sup>. აქედან მათ განდევნას ბიზანტიელები აღანების დახმარებით ცდილობდნენ. არაბების პოლიტიკური მდგომარეობა ამჟერად არც ქართლში ყოფილა მყარი. „იღმოსავლეთ საქართველოში ფეხის მტკიცედ მოკიდება არაბებმა შეძლეს მხოლოდ VIII ს-ის 30-იან წლებში“<sup>94</sup>. თუმცა ნუმისმატიკური ფაქტები (არაბებმა თბილისში ფული პირველად 704—705 წლებში მოკრეს)<sup>95</sup> მოწმობენ, რომ არაბები VIII საუკუნის დამდეგს თბილისში იმყოფებიან.

თავდაპირველად, ქართლში არაბების მიერ ბიზანტიელთა შეცვლა თითქოს უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგში მათ მმართველებსა და ადგილობრივ ხელისუფალთა შორის ურთიერთობა შევიწროვდა<sup>96</sup>. საბოლოოდ ძალთა ფარდობა ისეთი შეიქმნა, რომ გამარჯვება არაბებს დარჩათ და ისინი ეკონომიურადაც გაბატონდნენ.

თავისი ბატონობის პირველ წლებში, სანამ საკუთარი ტიპის მონეტას მოკრიდნენ, არაბები სარგებლობდნენ ბიზანტიური და სასანური მონეტებით. საქართველოში საკუთარი ფულის მოკრის პირველ პერიოდში ისინი სჭრიდნენ ბიზანტიური ოქროს ტიპის მონეტებს, მხოლოდ მასზე თავის ნიშანს და არაბულ ზედწერილს ათავსებდნენ<sup>97</sup>, სპილენძის მონეტებზე კი ჯვრის ნაცვლად ფასთა აღბეჭდილი.

ო. ტოლსტოის აზრით „Крест намеренно искажен и превращен в букву Ф, которая могла служить обозначением ценности монеты, являя, начальнойю слова фоллг, как назывались медные в 40 нуммий, и заменяя, таким образом обычное М или ш“<sup>98</sup>.

<sup>92</sup> В. В. Кропоткин, Клады Византийских монет.— стр. 11.

<sup>93</sup> ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, თბილისი, 1936, გვ. 18.

<sup>94</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>95</sup> შ. ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან, მიმოხილველი, II, თბილისი, 1951, გვ. 186.

<sup>96</sup> Е. А. Пахомов, Монеты Грузии... გვ. 40; ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში... გვ. 30; შ. ლორთქიფანიძე, დასახ. შრომა, გვ. 186.

<sup>97</sup> ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში... გვ. 43.

<sup>98</sup> И. В. Тизенгаузен, Монеты восточного Халифата, СПб, 1873; J. Walker, M. A., D. Litt, A catalogue of the Arab-Byzantine and post-reform imayud coins, London, 1956.

<sup>99</sup> И. И. Толстой, Византийские монеты, вып. VII, СПб, 1914. 722; Lane-Poole, Catalogue of orientl coins in the British Museum, vol. IX, London, 1869, გვ. 10, 11.

ამრიგად, არაბებმა, ბიზანტიური სპილენძის მონეტების ტიპს ჯერის გამოსახლება და ღირებულების აღმნიშვნელი M M ასო შოაშორეს, თუმცა ღირებულების აღნიშვნა სხვა სახით მაინც რჩება (Φ). ამ მონეტების შესახებ ჩვენ აქ სიტყვის აღარ გავაგრძელებთ, რადგან ეს საკითხი ჩვენი შრომის მიზანს შორავდა და, რაც მთავარია, ასეთი მონეტები საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდებში არ არის აღრიცხული.

შემდეგ, როდესაც არაბებმა, მტკიცედ მოიმაგრეს ფეხი საქართველოში, დაიწყეს საკუთარი სახის ფულის მოჭრა, რაც აქ მათი ფულების სიმრავლითაც ირკვევს. დოქ. თ. ლომოური არაბულ განქების ანალიზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ეკონომიური კავშირი ნაწილობრივ შევანდებდა არაბული დირჰემების იმ მდიდარი ნუმისმატიკური განქების შეოხებით. რომლებიც ნაოვენია... საქართველოს ტერიტორიაზე... მაგ... კახეთში ალაზნის ვალმა. ნაოვენია 1924 წ. არაბულ-სასანური დირჰემების 4 განძი. IX—X ს-ის პირველი ნახევრის“<sup>108</sup> არაბული მონეტების განქები მოპოვებულია 1921 წ. ლაგოდენის რაიონის სოფ. კაჭირში; 1924 წელს იმავე რაიონის სოფ. ლელაწში და სოფ. აფენში; 1937 წელს თელავის რაიონის სოფ. ფშაველაში; 1960 წელს ახმეტის რაიონის სოფ. თიხვივანში, ხოლო 1962 წელს ყვარლის რაიონის სოფ. მთისძირში<sup>109</sup>.

ამრიგად, საქართველოს მიწის წიაღში აღმოჩენილი განქები ნათელს ხდის, „რომ VIII, IX და X ს-ის პირველ ნახევარში არაბული ფული ისეთი რაოდენობით შემოდიოდა ჩვენში, რომელიც, ალბათ, სავსებით აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას“<sup>108</sup>. ამას ალბათ ადგილობრივ მოჭრულ ფულზეც ემატებოდა<sup>110</sup>. მხოლოდ როცა არაბთა ძალა თანდათან მიირღება, მეფე ბაგრატ III (975—1014) სკისის არაბული დირჰემის ტიპის საკუთარ მონეტას, რომელსაც ქართული ზედწერილი აქვს; ეს არის ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების შემდეგ პირველი ქართული ფული<sup>111</sup> — მოჭრილი ქართული მეფის მიერ.

არაბთა სახალხო და თბილისის ჯაფარიანთა სავაგაურლოს დასუსტებას მათი გავლენის სფეროს თანდათან შემცირება და ბოლოს მოსაზრბაც მოჰყვა.

X საუკუნეში. საქართველოში. გარდა მუსლიმანური მონეტებისა ბიზანტიური მონეტებიც შემოდის და ვრცელდება, უმთავრესად დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, იქ, სადაც, ბიზანტიის გავლენა უფრო ძლიერია. ამ ოლქებში მუსლიმანური მონეტები (ფელსები) სულ არ ჩანს. ბიზანტიური სპილენძი კი ჩვეულებრივია<sup>112</sup> (X საუკ. აღმოსავლეთ საქართველოში ბიზანტიური სპილენძის მონეტების აღმოჩენის 11 შემთხვევაა აღრიცხული. დასავლეთში კი—7).

ნუმისმატიკური ძეგლები სავსებით აკასტურებს გამოთქმულ მოსაზრებას.

დასავლეთ საქართველოში არაბული ვერცხლის ფულის აღმოჩენის მხოლოდ ორი შემთხვევაა აღრიცხული: მახარაძის რაიონის სოფ. მერისთან (789/90 მოჭრილი დრამა)<sup>113</sup> და საჩხერის რაიონის სოფ. მერჯვეში (718/19 მოჭრილი დრამა, სმგ. № 7176).

არაბების ბატონობის ხანაშიც ბიზანტიური მონეტები კიდევ შემოდის აღმოსავლეთ საქართველოში, ამას, უდავოდ, ისიც უწყობდა ხელს, რომ თბილისი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრა გზაზე მდებარეობდა და საქონელბრონევაში მონაწილეობას ბიზანტიელნიც მიიღებდნენ, ისევე, როგორც ბიზანტიის ქალაქებში საქონელბრონევაში მონაწილეობას იღებენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

“В византийских городах можно было также встретить латинских (итальянских) купцов, сирпийских торговцев, грузин, число которых особенно возрастает в XI в. Грузины в это время играли важную роль в византийской алминистратии и армии: ими был основан Йверский (Грузинский) монастырь на Афоне“<sup>114</sup>,

<sup>108</sup> თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში... გვ. 283.

<sup>109</sup> თ. ლომოური, სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი, ხელნაწერი: მისივე. განსაცხდრულია ფშაველის განძი.

<sup>110</sup> უკანასკნელ სამ სოფელში აღმოჩენილ განქებს ანუშავეებს ირ. ჯალაღანია.

<sup>111</sup> თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, ... გვ. 284.

<sup>112</sup> დ. კაკაბაძე, თ. ს. თბილისი დრამა აღი გუაფარისა, საქართველოს მუზეუმის შიგნით. XII-В, თბილისი, 1944, მისივე, ქართული ნუმისმატიკა, გვ. 39.

<sup>113</sup> Е. Пахомов, Монеты Грузин..., გვ. 59.

<sup>114</sup> იქი, გვ. 54.

<sup>115</sup> Е. А. Пахомов, Монетные клады, вып. III, 1940, გვ. 37. № 821.

<sup>116</sup> Л. П. Каждан, Г. Г. Литаврин, დასახ. შრომა, გვ. 58.

ბიზანტიური ოქროს მონეტა (სოლიდი) მსოფლიო ვალუტის მნიშვნელობის მქონე იყო. იგი ყველა ქვეყანაში თავისუფლად მონაწილეობდა მიმოქცევაში. როგორც აღნიშნავს ი. ტოლსტოი „VII საუკუნეში ბიზანტიური სოლიდი ჯერ კიდევ წარმოადგენდა ერთადერთს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით საერთაშორისო მონეტას. რომელსაც ვეღარან იღებდნენ ანგაროსწორების დროს და, ამასთან, მისი ღირებულება ცნობილი იყო ყველგან. აღმოსავლეთშიც, ისევე როგორც დასავლეთში“<sup>115</sup>. ი. ტოლსტოის ამ მოსაზრებას იზიარებს ვ. კროპოტკინი. იგი წერს: „ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიის ოქროს სოლიდები, რომლებიც საერთაშორისო ვალუტის როლს ასრულებდნენ, ფართოდ იყვნენ გავრცელებული აღმოსავლეთის ქვეყნებში“<sup>116</sup>. საქართველო სწორედ ამ სფეროშია მოქცეული და გასაუბრია აქ ბიზანტიური სოლიდის სმოკველი.

ბიზანტიური ოქროს მონეტების საერთაშორისო ვალუტის როლს ვ. ჰერცბერგიც შენიშნავს<sup>117</sup>.

ოქროს მონეტების მოქმედებისათვის, როგორც ი. ტოლსტოი ვარაუდობს, არ არსებობდა პოლიტიკური საზღვრები<sup>118</sup>. სპილენძის მონეტა კი პირაქით, მოწოდებული იყო დაეკმაყოფილებინა ადგილობრივი, ვიწრო მოთხოვნები; უმეტესი რაოდენობით იგი არსებობდა იმ ქვეყანაში, სადაც იჭრებოდა. და ზშირად არც კი სცილდებოდა იმ ოლქის თუ პროვინციის საზღვრებს. სადაც იგი მზადდებოდა<sup>119</sup>. ი. ტოლსტოის ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ნუმისმატიკური მასალები: საქართველოს სხვა საცავები რომ არ მიეცნოთ მხედველობაში. მარტო საქართველოს მუზეუმში დიდი რაოდენობითათა თვითმყარული კონსტანტინოპოლში. ანტიოქიაში (თეოპოლიში)<sup>120</sup>. კოზეში. კართაგენში მოპოვებული ბიზანტიური სპილენძის მონეტები. როგორც უხედავთ, ის მონეტები საკმაოდ შორეული მანძილიდანაა შემოსული ჩვენთან.

თუმცა VIII საუკუნიდან საქართველოს აღმოსავლეთში არაბები ბატონობდნენ და, შესაბამისად, მოსალოდნელი იყო მხოლოდ მათი ფული, კანტი-

კუნტად მიიღო არის აღრიცხული ბიზანტიური მონეტების აღმოჩენაც (VIII საუკუნის მონეტების მოპოვების 2 შემთხვევაა აღრიცხული, IX საუკუნისა 11 შემთხვევა). სასაზღვრო მონეტები კი, როგორც ვნახეთ, აღმოჩენილია განძებად, არაბულ მონეტებთან ერთად.

X საუკუნიდან ბიზანტიური მონეტების შემოსვლა საქართველოში მატულობს და X საუკუნის II ნახევრიდან ღიდი რაოდენობით შემოდის ბიზანტიური ანონიმური მონეტები—დაწყებული იოანე ციმისხიდან და შემდეგაც<sup>121</sup> (აღმოსავლეთ საქართველოში ამ მონეტათა აღმოჩენის 11 შემთხვევაა, დასავლეთ საქართველოში კი 7). ვ. პანომოვის ცნობა, რომ აქვე შემოდის ოქროს სოლიდები<sup>122</sup>, ნუმისმატიკური ფაქტებით არ დასტურდება, დღეისათვის IX—X სს. სოლიდის აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის აღრიცხული.

როგორც დაეინახეთ, ჩვენში ბიზანტიური მონეტები აღრიცხავენ შემოდიოდა და თანმიმდევრულად ვრცელდებოდა, ხოლო VIII—IX საუკუნეების ბიზანტიური მონეტების სიმცირე ნათლად მეტყველებს იმ პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომელიც შეიქმნა საქართველოში არაბების დამკვიდრების გამო. VIII საუკუნის ოქროს მონეტები (უფრო სწორად VII საუკუნის დასასრულისა და VIII საუკუნის დასაწყისისა), რომლის აღრიცხვის საშუალება ჩვენ მოგვეცა, ეკუთვნის ტიბერიის III (698—705). აღმოჩენილია ბოქნინტაში (№ 84). სოხუმში (№ 85); IX საუკუნის ვერცხლისა—ლეონ VI (886—912) თბილისში (№ 92); სპილენძის ანტიოქიაში I (802—811) დმანისში (№ 86), ლეონ V (813—820) ქობულეთში. (№ 87); თეოფილეს (829—842) ოქაში (№ 88), ბობოყვათში (№ 89). ქობულეთში (№ 90); ლეონ VI (886—912) ოჩამჩირაში (№ 93—94). დმანისში (№ 95). ფსირცხაში (№ 96), ციხისძირში (№ 97), ქობულეთში (№ 98).

ამრიგად, VIII და IX საუკუნეების ბიზანტიური მონეტები ჩვენში საკმაოდ ღარიბად გამოიყურება. შემდეგში კი, იმპერიის არსებობის დასასრულ-

<sup>115</sup> И. И. Толстой. Византийские монеты, вып. VI, СПб, 1914, гл. 718.

<sup>116</sup> В. В. Крпотокин, Клады римских монет..., гл. 20.

<sup>117</sup> Г. Ф. Герцберг. Дахб. შრომა, 191—192.

<sup>118</sup> И. И. Толстой. Византийские монеты, вып. VI, гл. 718.

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> ანთოქიის, 538 წელს მიწისძვრის დროს დანგრევის შემდეგ, იუსტინიანე I-მა თეოპოლისი შეარქვა.

<sup>121</sup> Е. А. Пахомов, Монеты Грузии..., гл. 54.

<sup>122</sup> იქვე.

ლამდე, მეტნაკლებად დიდი რაოდენობით შემოდის და მიმოქცევაშია ბიზანტიის თითქმის ყველა კეისრის სპილენძის მონეტა; გამოჩაყლის X საუკუნე შეადგენს.

რაც შეეხება VIII და XI საუკუნეების<sup>120</sup> ვერცხლის მონეტებს, ისინი საქართველოს მუზეუმის საცავში სულ რამდენიმე ცალია და ამ მცირე რაოდენობიდან 2 მონეტის (კონსტანტინე IX (1042-1055) № 155 ნიკოფორე III (1078 (1081) № 189) გამოკლებით, იმ მონეტათა ჯგუფს განეკუთვნება, რომელთა მოპოვების გარემოება ცნობილი არ არის.

საქართველოს ტერიტორიაზე ბიზანტიური მონეტები ერთი შეხედვით თითქმის თანაბრად არის გავრცელებული, თუმცა მონეტათა აღმოჩენები აღმოსავლეთ საქართველოში კარბობს—112 შემთხვევაა აღნუსხული. დასავლეთში კი—77. ამასთან ერთად, ბიზანტიური მონეტების გავრცელება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა რაიონებისათვის ერთნაირად არ გამოიყურება: ზოგან მონეტათა პოვნა უფრო ინტენსიურია, რაც იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ეს მხარე თავის დროზე მეტად ყოფილა ჩაბმული ბიზანტიასთან სავაჭრო ურთიერთობაში, ან შეიძლება ეს ქალაქები უფრო მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდა. ამ მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოში შეიძლება დამანიის<sup>121</sup>, ხოლო დასავლეთში ბიჭვინტის<sup>122</sup> დაეასაილოს.

როგორც პროკოპი ექსარქოსის ცნობიდან ირკვევა, VI საუკუნის 40-იან წლებში ბიჭვინტის ციხე-სიმაგრე თვით ბიზანტიელებს დაუეგრევეათ; ამის შემდეგი ნუმისმატიკური ფაქტობითაც დასტურდება, აქ კლებულა ბიზანტიური მონეტების შემოსვლა. ამის შემდეგ აქ იჩაყლის (№ 73). ოუსტინიანე II (№ 83), ტიბერიოს III (№ 84) რამდენიმე მონეტა არის აღმოჩენილი; სავარაუდოა, რომ ბიჭვინტის ციხის დანგრევის შემდეგ ცენტრებს უფრო აღმოსავლეთით გადმოწაცვლებათ. ამას ვგავსიკებინებს ოჩაჩორის, ნოქალაქების და ჩიბათის ბიზანტიური მონეტების განქმები.

XI საუკუნისათვის საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობაში კვლავ აღვილი აქვს ვართულელებს. დაიბრუნა მონებრდა. მაგრამ ბიზანტიამ მივეალი მინე მოითხოვა (როგორც ჩანს, ბიზანტია ბოლომდე ვერ ენდობა საქართველოს) „წარვიდა ბასილი მეფე და თანა წარიყვანა ბაგრატ უფლისწული მივევლად ქე გიორგი მეფისა ჩუენისა“<sup>123</sup>. გარდა მივევლისა ქართველი მეფეები შევილებს აღსაზრდელადც ჯავანდენე კონსტანტინოპოლში. ჯოდეს თეოდორაა დედოფალსა ეყარა ბერძენთა მეფობა, ითხოვა ბაგრატ მეფისაგან. რათა მოსცეს ასული მისი მართა (და) შევილად თვსად აღზარდოს, ხოლო მეფემან ბაგრატ სისარულეთა დილითა წარმოგზავნა შეილი თვსი მართა კაცთა თანა საკუთართა თვსთა“<sup>127</sup>. მატინე ქართლისა იმასაც გვამცნობს. რომ „...დიდმან ბაგრატ მეფემან გაათხოვა ასული თვსი მართა და შერთო ბერძენთა მეფესა“<sup>128</sup>. წერილობითი წყაროების გარდა, ბიზანტიის კეისრების სახელმწიფო საქართველოში დაცულ ბერძნულ ენაზე შესრულებულ ფერსკულ წარწერებშიც გვხვდება. მაგ. მოქვის ეკლესიის ბერძნულ წარწერაში მოხსენებულია ალექსი კომნენი, — „მოხატა მეფე ალექსი კომნენისა და დავით დეხაზთა დიდი მეფის დროს“<sup>129</sup>. თ. ყუბჩიშვილს ამ წარწერაში. ალექსი კომნენის მოხსენება ემიყვება; მაგრამ იქვე დასძენს „დავით აღმაშენებელი და ალექსი კომნენი ერთი დროის მეფეები არიან და მათ შორის ერთგვარი მოყვრობაც იყო, მაგრამ მინც არაა სავარაუდებელი, რომ გავრთიანებული საქართველოს არსებობის პირობებში ასეთი წარწერა გაეკეთებინათ აქ. ჩვენში“<sup>130</sup>.

ვფიქრობთ, ამ წარწერაში (თუ ის მართლა არსებობდა) ალექსი კომნენის მოხსენებით ერთხელ კიდევ არის ხაზგასმული მათ შორის არსებული კეთილგანწყობილება.

დავით აღმაშენებელმა, მისივე ისტორიკოსის მოწმობით... მასვე წელსა (ე. ო. 1116 წელს) ასული თვსი კატა გაგზავნა საბერძენთს სძლად ბერძენთა მეფისად“<sup>131</sup>.

<sup>120</sup> IX საუკუნის ვერცხლის მონეტის აღმოჩენის ერთი შემთხვევაა აღრიცხული, ხოლო XI საუკუნისა—2.  
<sup>121</sup> 1936-37 წლებში დმანისში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტები; თ. ლომოური, ფულა შოთა რუსთაველის გამოკვლევა... გვ. 283-316.  
<sup>122</sup> 1953-64 წლებში ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, თითო-ორიოლა ცალღების გარდა, ოუსტინე I სპილენძის მონეტების განიცი აღმოაჩინა.  
<sup>123</sup> მატინე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 288-289.  
<sup>124</sup> იქვე, გვ. 307-308; თ. ცაგარდისი, ათონის კერბული, თბილისი, 1901, გვ. 306.  
<sup>125</sup> მატინე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 308-309.  
<sup>126</sup> თ. ყუბჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951, გვ. XXVIII, 30.  
<sup>127</sup> იქვე, გვ. XXVIII.  
<sup>128</sup> მატინე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334-335.

ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა მატერიალური კულტურის ძველებშიც შეიმჩნევა: მეფეთა სამოსელის მსგავსება (ბარკლეფდებზე და კედლის მხატვრობაში). რომლებიც მეტნაკლებად ბიზანტიის პოლიტიკურად არსებობის მთელ მანძილზე გასდევდა. ატენის მხატვრობაზე... კვირგვინი იმგვარია, როგორც ბიზანტიის კეისრებს ჰქონდათ ხოლმე. მაგ. ნიკიფორე ბოტანიკოსი<sup>122</sup>. ატენის სურათზე ბავრატ მიფის სამკაულები... ნიკიფორეს მეუღლის მარიამის სურათს ემსგავსება<sup>123</sup>. გელათის ტაძარში გამოსახული დავით აღმაშენებლის თავსაბურავის მსგავსი თავსაბურავი ჰხარავს ბიზანტიის კეისარს იოანე კანტაკუზენსა<sup>124</sup>... ამის მკვერივე მხურავს მიხეილ VII პალეოლოგოსს<sup>125</sup> გიორგი III მონეტაზე მოცემული გვირგვინი—მოაგავს კეისარ რომანოზ IV-ისას<sup>126</sup>.

ამრიგად, წერს ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს მეფეთა ძველი სახის ბიზანტიიდან შემოხიზნული შესამოსელი XV საუკუნემდე წინანდებურად სუფევდა“<sup>127</sup>.

წლენჯიზის ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც XIV საუკუნის ბოლო წლებით თარიღდება „მოგვიტობს. რომ ერისთავ ვამეყს (დადიანი) კონსტანტინეპოლიდან ჩამოუყვანიდა მხატვარი მანუელ ეგვიპციოსი, რომელსაც... მოუხატავს ტაძარი. როგორც ვხედავთ. გარკვეული ისტორიული მნიშვნელობის ამბავია: ვადმოცემული: ვამეყ დადიანის მოღვაწეობა; მისი კავშირი ბიზანტიასთან—კონსტანტინეპოლიდან მხატვრის-საყანგებოდ მოწვევა<sup>128</sup>. აგრეთვე გასაზრებელია მონეტაზე წერილობითი წყაროები. სადაც მოთხრობილია. რომ შიროთზე საუკუნის შუა წლებში კოლხეთში. ფოთის მახლობლად. არსებულა რიტორიკული განათლების ცენტრი. სადაც ვანათლებას ლებულაზნე ბიზანტიიდან სავანებოდ მოვლინებული ხალგაზრდები<sup>129</sup>.

ზომოაღწერის თანახმად. ბიზანტიის დამოკიდებულება საქართველოსთან მატერიალური კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზედაც სა-

თანადოდ აისახა. ამ მხრივ ნუმისმატიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რამდენადაც აქ მხოლოდ XI საუკუნეში მოიჭრა ბიზანტიური ტიპის მონეტა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაბთა სახალიფოს დასუსტებამ, ხოლო საქართველოს ვაერთიანება-გაძლიერებამ შექმნა პირობები ქართული ფულის მოჭრისა.

ამ დროისათვის ბიზანტიური ოქროსი და სპილენძის მონეტების სიმრავლე და, ამასთან ერთად, ბიზანტიური ფულის ტერმინების შემონახვა ქართულ წერილობით წყაროებში მოწმობს ბიზანტიულეთთან სავაჭრო ურთიერთობის კვლავ მძლავრად განვითარებას. ქართველი მეფეების მიერ ბიზანტიური ტიტულების—(კურაპალატის, ნოველი-სიმოსის, სევესტოსის, კესაროსის) მიღება ახალი ურთიერთობის შედეგია.

ასეთი დამოკიდებულება ბიზანტიასა და საქართველოს სამეფო კარა შორის, როგორც ზევით უკვე ითქვა, არცადის დროიდანვე შეიმჩნევა, მაგრამ ნუმისმატიკურ ძეგლებზე მხოლოდ XI საუკუნეში მდლავნდება. ამას ხელი შეუწყო თვით საქართველოს ვაერთიანება-გაძლიერებამ.

მ. ლომიძის გამოკვლევა: არაბთა სახალიფოსი და ადგილობრივი არაბული დინასტიის, ჯაფარიანების დასუსტებამ ერთი მხრით და საქართველოს პოლიტიკურმა ვაერთიანებამ მეორე მხრით, შექმნეს იმის პირობები, რომ ქართული ფულის მოჭრა სისტემატურად და უწყვეტლავ წარმოებულყო. ასეთი პერიოდი ქართული ფულის ისტორიაში დაიწყო ბაგრატ IV-ის დროიდან (1027—1072)<sup>130</sup>.

ამრიგად, საკუთარი საფასის აუცილებლობის საკითხი რომ დადგა, მოიჭრა ბიზანტიური მონეტის მსგავსი მონეტა, მაგალითად: ბაგრატ IV მონეტის შებლი აღებულია კონსტანტინე IX-ის სპილენძის მონეტებიდან<sup>131</sup>. ზურგზე კი ქართული წარწერაა, ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულით; ბაგრატ IV-დან მოკიდებული დემეტრე I-მდე იჭრება ბი-

<sup>122</sup> ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართული თბილისი. 1962. გვ. 20.

<sup>123</sup> იქვე. გვ. 21.

<sup>124</sup> იქვე.

<sup>125</sup> იქვე. გვ. 22. Беляев. Ежедневные приемы Византийских царей. З. Р. А. Общ. т. VI, სფრ. III.

<sup>126</sup> ივ. ჯავახიშვილი. მასალები, ... გვ. 22.

<sup>127</sup> იქვე. გვ. 26—27.

<sup>128</sup> თ. ყაფხჩიშვილი. დასაბ. შრომა, გვ. XXIX.

<sup>129</sup> ვეფხვაძე. I. თბილისი, 1961. გვ. 52.

<sup>130</sup> თ. ლომოური. ფელი შოთა რუსთაველის ეპოქაში. ... გვ. 234.



ზანტიური მონეტების მსგავსი მონეტები, ოდნავი განსხვავებით.

როგორც დაინახეთ, XI საუკუნის ვერცხლის ქართულ მონეტაზე<sup>142</sup> ჩნდება ბიზანტიური საკარისაკო ტიტულუმი—*კურაპალატი*, *კესაროსი*, *ნოველისიმოსი* და *ვლახერნის ღვთისმშობლის გამოხატულზე*<sup>143</sup>. ამ ტიპის მონეტები, როგორც ჩანს, ბევრი უნდა მოქროლიყო<sup>144</sup>. ამ მონეტების დიდი რაოდენობა ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში.

ასეთივე ტიპის გიორგი II-ის მონეტა კესაროსის პატივით, კესარ კონსტანტინე IX-ის ვერცხლის მონეტა და ბიზანტიური ანონიმური მონეტები აღმოაჩინეს 1957 წელს აფხაზეთში არქეოლოგიური გათხრების დროს<sup>145</sup>. ბიზანტიური ტიპის ქართული მონეტები გამოქვეყნებული აქვთ როგავტორებმა<sup>146</sup>. რამდენადაც ლაპარაკია მინაბამ მონეტებზე, იქვე შეიძლება მოვიხსენიოთ მცხეთაში აღმოჩენილი ლეონ I-ის მონეტის მინაბამი, რომელიც ძალიან უხეში სახისაა, ლეონ I-ის მონეტებთან შედარებით. ამასთან, სადაოა მისი წარმოშობის ხდაღურობის საკითხიც<sup>147</sup>. მაგრამ სათანადო ნუმისმატიკური მასალის უქონლობის გამო ამ საკითხზე ვერ კიდევ არ არის მიღწეული საერთო აზრი: ზოგი მას თვლის ბალკანურ წარმოშობისად.

მიუხედავად იმისა, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული ქართული ფულის მოჭრა თითქმის აღარ შეწყვეტილა, ბიზანტიური მონეტები კვლავ შემოდის ჩვენში. ეს მოვლენა ცხადად მიუთითებს ამ ორ

ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობაზე. ბიზანტიური ნუმისმატიკური მასალისა და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე დოც. თ. ლომოურე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „იმდროინდელ წერილობით ძეგლებს შემოუნახავთ ჩვენთვის ამ ფულების აღმნიშვნელი ტერმინები: ხოლო მიწის წილს თვით ეს ხელშესახები ფულეები“<sup>148</sup>. „XI საუკუნეში საქართველოში შემოსული ბიზანტიური ოქროს ფული აღინიშნებოდა ტერმინებით *დრაკანი* კოსტანტინატი... (კონსტანტინე X-ს, 1059—1067 ოქროს ფული), *დრაკანი* დუკატი (მიხეილ VII დუკასი, 1071—1078)“ და *დრაკანი* ბოტინატი (ნიკოფორე III ბოტანიატისა, 1078—1081)<sup>149</sup>.

ბიზანტიური ფული საქართველოში იმდენად გავრცელებულია და შეთვისებული ყოფილა; რომ სიგელეობისა და აღაპების შედგენის ღირს, ფულად საქმიანობაში სწორედ ფულის ბიზანტიური ტერმინებია მოხსენებული. მაგალითად. დავით აღმაშენებლის ანდერძში—*„კოსტანტინატი“* და *„ბოტინატი“*<sup>150</sup>; ვაჰანის *ქებათა ძეგლში* კი *„დუკატი“* და *„ბოტინატი“*<sup>151</sup>; რაც იმას მოწმობს, რომ საქართველოში „...XI ს-ში შემოსული ბიზანტიური ფულები კიდევ ორი საუკუნის განმავლობაში განაგრძობდნენ მოქმედებას“<sup>152</sup>.

ათონის მონასტრის აღაპებში. გარდა იმ სამონეტო ტერმინებისა, რომლებიც ჩვენ ქვეყანაშია დამკვიდრებული, გვხვდება კიდევ *„პრომანატი“*, *„ალექსატი“*, *„დიმიტრატი“*, *„ტრიკეფალი“*<sup>153</sup>; ალ-

<sup>142</sup> დავით აღმაშენებელს ბიზანტიური ტიპის სპილენძის მონეტაც მოუჭრია, რომელიც აქამდე ცნობილი არ იყო. იგი ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლანგმა 1957 წელს ეურნალ Numismatic Chronical-ში გამოაქვეყნა, წერილობით Notes on Caucasian numismatics სხვა ქართულ და ქართულ-ბიზანტიურ ვერცხლის მონეტებთან ერთად (გვ. 137—146, ტაბ. XVII).

<sup>143</sup> И. И. Толстой, О монете Константина Мономаха с изображением Влахернской Божьей Матери ЗРАО, т. III, СПб., 1888, т. III.

<sup>144</sup> Е. А. Пахомов, Монеты Грузии..., გვ. 61—79; დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა..., გვ. 42—44.

<sup>145</sup> М. Т. Рапаш, Археологические раскопки в Анакопии в 1957—1958 гг. Труды Абхаз. ин-та языка, литературы и истории, ХХІХ, 1959, გვ. 151—157; Д. Г. Капанадзе, Найданный вариант грузинской монеты XI века. Труды Абхазского ин-та языка, литературы и истории, вып. XXX, Сухуми, 1960, გვ. 101—103. Трапаш, Археологические раскопки в Анакопии... ВВР, т. XIX, Москва, 1961, გვ. 281.

<sup>146</sup> И. И. Толстой, Византийские монеты, вып. II, გვ. 126, 132.

<sup>147</sup> იქვე, გვ. 126, 132; დ. კაპანაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937—1951 წწ. ნუმისმატიკური მონაოვარი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 81—82.

<sup>148</sup> თ. ლომოურე, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში..., გვ. 295.

<sup>149</sup> იქვე, გვ. 296.

<sup>150</sup> თ. ლომოურე, ქრონიკები, ტ. 2, თბილისი, 1897, გვ. 51—52.

<sup>151</sup> თ. ლომოურე, ისტორიული საბუთები, შიო-მღვიმის მონასტრის, თბილისი, 1896, გვ. 34, მისივე, ქრონიკები, 2, გვ. 51—52; ათონის კრებულები, გვ. 222, 227.

<sup>152</sup> თ. ლომოურე, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში..., გვ. 296.

<sup>153</sup> ათონის ივერთის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901, გვ. 226, 229, 231, 253.

ბათ. ეს ტერმინებიც უმეტესწილად დაკავშირებულია ამავე სახელის მატარებელ კეისრების მიერ მოკრიბ მონეტებთან. მაგრამ ჩვენში ყველა ფუნქციონირებს ერთნაირად ვერ მოიკიდებინა. უცხო საფასის ტერმინებიდან მოსახსენებელია აგრეთვე „პეპერა“, ეს ბიზანტიური ოქროს მონეტის სახელია და ათონის ალაპებში იხმარება<sup>154</sup>.

საქართველოში ბიზანტიური ფულები სხვადასხვა საშუალებებითა და ცხთ შევიდოდა იგი რჩებოდა აქ აღებ-მიცემობის შედეგად; შემოპქონდათ უცხოელ ჭარებს, მოგზაურებს<sup>155</sup>.

როკოლი ითქვა, თ. ლომოური საგანგებოდ შეჩერდა XI—XIII სს. ბიზანტიურ ფულებზე და მიუთითა, რომ ამ დროის „ბიზანტიური სპილენძის ფულის განაწილების შესახებ ცნობები ნაკლებად გვაქვს. სამაგიეროდ თვით ფულები ამ ხანისა მრავლად მოპოვება საქართველოს მეზუემის ნუმიზმატიკურ კაბინეტში. ვფიქრობ (დასძენს თ. ლომოური) სრული საფუძველი გვაქვს მივიჩნიოთ ეს ფულები ადგლორივ ნაპოვნად, მიუხედავად იმისა, რომ კატალოგში ცნობები მათი პოვნის... შესახებ არ შეუტანიათ. სპილენძის მონეტა, საზოგადოდ არ მღელს შოოს თავისი პოვნის ადგილიდან, არამედ ახლო-მახლო ცენტრებში, მუხუშუმებში, თუ კერძო კოლექციონერების საცავებში იყრის თავს<sup>156</sup>. გაპოთქმული მოსაზრების სინამდვილე ნუმიზმატიკური ფაქტები დასტურდება. ამ დროის ბიზანტიური სპილენძის მონეტების აღმოჩენის 21 შემთხვევაა აღროცხული.

როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტიური ოქროს და ვერცხლის მონეტები შემოდის საქართველოში და ბრუნვამი ექცევა. ამ მხრივ გამოწავლის არც ბიზანტიური სპილენძის ანონიმური მონეტები წარმოადგენს; ეს მონეტები როგორც თითო-ერთი ცალკე, ის განაწილების სახით გვხვდება (ოჩამჩირის განძი № 112). ამ გარემოებას სპეციალურად აღნიშნავს ვ. კროპოტკინი<sup>157</sup>.

სავარაუდოა, რომ გარკვეულ პერიოდში ანო-

ნიმური მონეტები ოქროს მონეტების გვერდითაც მოქმედებდნენ. შესაძლოა, რომ ეს სპილენძის მონეტები ვერცხლის მონეტების მაგიერ ბრუნვავდა, ან მათ ცვლიდა განსაუტრებთ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მონეტები. დადამლული იყო, ვერცხლისა კი, ხმარებიდან იყო გასული.

საქართველოში ბიზანტიური და სხვა ქვეყნების მონეტების ბრუნვასთან დაკავშირებით საუბრობა მოკლედ შეეხებთ საფაქრო გზებს, რადგან იგ. ჭავჭავიძის გამოკვლევით „მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის გზები იყო აგრეთვე ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც ერთის მხრივ საქართველოს მრავალ კუთხეს ერთიერთმანეთს უახლოვებდა და აერთებდა, მეორე მხრივ უცხოეთის გავლენა, პოლიტიკური თუ სულიერი, შექმონდა, რომლითაც სამაგიეროდ საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელ და შორეულ ერებსა და სამეფოებზე“<sup>158</sup>. ეს დასტურდება შემონახული წერილობითი წყაროებით, მაგალითად, რომ საქართველოს ჩრდილოეთთან აკავშირებდა არაგვის კარი—არაგვისა და თერჯის ხეობაზე მიმავალი გზას ეწოდებოდა „გზა დარიალანისა“<sup>159</sup>. ყოფილა აგრეთვე ხაზარეთის კარნი „პერაქლე კეისრის კავკასიაში ძლევამოსილ ლაშქრობას შემდგომ სპარსთა ხაზარეთისა კარნი შეიქმნეს და ხაზარნი მეოტ ყვნეს-ო“<sup>160</sup>.

ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში შემოსასვლელ პირდაპირ გზას, „რქმევი, გზა აფხაზეთისა“<sup>161</sup>.

ბიზანტიიდან საქართველოში შემოსასვლელი ზღვისა და ხმელეთის გზაც ყოფილა. ბიზანტიიდან „ხმელეთის გზა ბასიანზე და ტაოსაკენ მიდიოდა... (გიორგი მთაწმინდელი ხმელეთის გზით მოსულა სა საქართველოში) „გამოყვანილ ანტიოქით და მოვიწინით ვიდრე დიდად მდინარედ ეგფრატად“<sup>162</sup>. იქიდან აღზათ უკვე საქართველოს საზღვრამდე მოსულან“<sup>163</sup>. აღზათ ამავე გზით იქნება შემოსული ანტიოქური მონეტებიც.

<sup>154</sup> ათონის ივერიის მონასტრის... გვ. 225, 227, 231.

<sup>155</sup> თ. ლომოური, ფელი შოთა რუსთაველის გამოქაშის... გვ. 299; В. В. Кротокин, Клады Византийских монет, გვ. 10.

<sup>156</sup> თ. ლომოური, დასახ. შრომა, გვ. 300.

<sup>157</sup> В. В. Кротокин, Клады Византийских монет, გვ. 14.

<sup>158</sup> იგ. ჭავჭავიძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 64—65.

<sup>159</sup> ქართლის ეპოქები, I, გვ. 250.

<sup>160</sup> იგ. ჭავჭავიძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 66.

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> ცხოვრება... გიორგი მთაწმინდელისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, თბილისი,

1901, გვ. 3-8.

<sup>163</sup> იგ. ჭავჭავიძის შვილი, დასახ. შრომა, გვ. 68.

ზღვით შემოსასვლელი გზა წყაროებში ასეა წარმოდგენილი. „მოვიწინით სპისონს, ქალაქსა ზღვს კიდისასა... და ასრეთ ნავითა წარვემართებით კერძოთა ფახათეთისათა... მივიწინით ფოთს.“<sup>141</sup> სჩანს, რომ მაშინ ფოთი ნავსადგური ყოფილა.

შავი ზღვის სანაპიროზე მიმავალ გზას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა; ამ გზით უნდა შემოსულიყვნენ ქრისტიანობიდან მიმავალი ვაჭრები თუ ჯარი საქართველოს მაშინდელ ნავსადგურებში (ფოთი, ბიჭვინთა). აქვე იქნა აგებული ქ. პეტრა, რომელიც შემდეგ ლაზიკის ცენტრად იქცა.

თვით საქართველო, როგორც ითქვა, გზებით საკმაოდ დასერილი ყოფილა. მაგ. ქართლის გზით შეიძლება სამსრეთ საქართველოში გადასვლა „სამსრეთ დასავლეთით საქართველოში მიმავალი უნდა დასდგომოდან „გზასა ქართლისასა“<sup>142</sup>. ამ გზის გავლით მეზავრი — „გზასა კლარჯეთისასა“<sup>143</sup> მიადწევდა მაშინდელ სააღმშვიგობლო ცენტრთან — არტანუჯთან. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელი მოკლე გზა ლიხის მთაზე გადმოდიოდა.

აღმოსავლეთ საქართველოდან მიმავალი გზების შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით „იბერიის მხრიდან სამეგრელოსაკენ მიმავალი მერმეროე ჯერ ფასილში გავიდა. შემდეგ რონში და ამრიგად ფასილში მარჯვენა მხარეს მოექცა“<sup>144</sup>.

შესაბამისად ფულიც სწორედ გზების მახლობლად და გზებით დაკავშირებულ ადგილებში ტროალებდა.

თვით მონეტებზე მოცემული წარწერები<sup>145</sup> შეიძლება ორად დავაჯავფოთო: 1. ზედწერილები, რომლებშიც მოხსენებულია კეისრის სახელი და მათი ტიტულატურა, ზარაფხანის სახელოსნოს ნომრის მითითება. გარკვეულ დრომდე — Dominus noster Iustinianus porpetuus augustus, — ზოგჯერ

noster-ის გამოკლებით. 2. ანონიმური, რომლებშიც მხოლოდ დაუსახელებლად არის მოხსენებული, მაგ., Βερασάδης Πυγμαίων.

ბიზანტიურ ნემისმატიკაში უძველესია არაქალი კეისრის მონეტები. მისი ზედწერილებით. მისი მონეტების ლეგენდები გრძელდება მეშვიდე საუკუნემდე, ოდნევი ცვლილებებით. ზედწერილი ადგილობრივად შეერეულა ბერძნულ-ლათინური დაწერილობით, შემდეგ უკვე ზედწერილურად დამაინჯებელია; ზოგ მონეტაზე დაქარაგმების „მკვათი ნომეშობა (ტიბერიუს II და მაკრიუს მონეტებზე): D = Dominus; n = noster; pp = perpetuus ქარაგმით: I-C X-C = „ΙΧΘΙΣ; ΧΡΥΣΟΣ; Μ-Ρ (Y-V = ΜΥΣΤΗΡΑ ΣΤΑΣ. ამ უკანასკნელი დაქარაგმების ნაირსახეობაც გვხვდება: Μ-Ρ Θ-Υ, Μ-Θ; ლიგატურა XΡ = ΧΡΥΣΟΣ. ასეთი ლიგატურა I საუკუნიდანვე იხმარება „ქრისტეს“ მონოგრამად<sup>146</sup> — კონსტანტინეს დროის ფულების და იუსტინიანეს დროს სახელის სამკაულად კეთდებოდა“<sup>147</sup>.

ზედწერილები განლაგებულია მონეტის კედლებზე როგორც შუბლზე. ისე ზურგზე, მარცხნივ და მარჯვნივ, ზოგჯერ გარემოწერით; VIII საუკუნედან მონეტის შუბლზე წარწერა თითქმის ისეთსავე წყობას იმეორებს, ხოლო ზურგზე ხან სამსტრიქონისია, ხან ოთხსტრიქონისია; წარწერა ზოგჯერ ჯვრის მკვლავებშია ჩაწერილი. XI საუკუნეში და შემდეგაც შეიმჩნევა ვერტიკალურად. ოთხსტრიქონად განლაგებული ზედწერილები, X საუკუნის ვერტიკალის მონეტის არეზე მედალიონისა და შიგ წარწერა აგრეთვე ვერტიკალურადაა მოთავსებული.

VII საუკუნიდან ბიზანტიამო ბანდათანობით ბერძნული ენა იკავებს ლათინურის ადგილს — „მაკრიკი შეფის დროიდან ბერძნული ენა ვაბდა ოფიციალურ მოსაქმეობის ენად“<sup>148</sup>. ნემისმატიკურ ძეგლებზე ეს უფრო ადრე შეიმჩნევა.

„სპილენძის მონეტებზე ანატასი I დროიდან პირველად ჩნდება ბერძნული ასოები ლირებულეების აღსანიშნავად; ირაქლის დროიდან სპილენძის

<sup>141</sup> ც'ე გ'ი მთაწმიდელისა, ათონის კრებულ... გვ. 319; ივ. ჯ. ა. ვახი I შვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 68

<sup>142</sup> უ. უ. ა. შვილი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 203-204; ივ. ჯ. ა. ვახი I შვილი, დასაბ. შრომა, გვ. 66.

<sup>143</sup> დ. ლ. ო. მ. ო. გ. ვ. კ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382; ივ. ჯ. ა. ვახი I შვილი, დასაბ. შრომა, გვ. 66.

<sup>144</sup> ს. ჯ. ა. ნ. შ. ა. ფასილ, აკად. ნ. მარის სახელობის ფინს. ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X. თბილისი, 1941, გვ. 348.

<sup>145</sup> მონეტის აღწერილობის დროს ზედწერილები პალეოგრაფიული სიზუსტით არის გადმოცემული, შემდეგ აუღივნილი და შესაძლებლობის შემთხვევაში, შესატყვისი ქართულით არის მოცემული. ლეგენდებში გვაქვს ქარაგმები. ეფსოსები და ლიგატურები.

<sup>146</sup> თ. ყ. უ. ხ. ი. შვილი, ბერძნული წარწერები..., გვ. 18, შენიშვნა 1.

<sup>147</sup> ი. ი. ი. გვ. 18. ქრისტიან მონოგრამა მონეტის სამკაულად იხმარებოდა შემდეგაც, ამით ზოგჯერ ჯვარი გვიჩვენდება, ზოგჯერ კვერთხი.

<sup>148</sup> Γ. φ. Γερυδερ, დასაბ. ნაშრომი, გვ. 89.

მხებებზე უკვე მოთავსებულია ბერძნული წარწერები, მეორე საუკუნეში კი საბოლოოდ წყმოდის მხარებაში ბასილესისა და დესპოტის ბერძნული ტიტულები ავგუსტუსის მავიერ<sup>172</sup>. ამრიგად, „სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროში ლათინური ენა საბოლოოდ და ყველგან განიდევნება ბერძნული“<sup>173</sup>.

ნუმისმატიკური მონეტები სავსებით აღსატურებს ამ დაკვნას; კონსტანტინე II შემდეგ ლათინური ასოებით შესაულებელი ზედწერილები ბერძნული ტრანსკრიპციით არის გადმოცემული: როგორც ჩანს, ერთი ზელის მოსმით მოლიანდა არც ლათინური ანბანი და ენა ისპობა და არც ბერძნული წყმოდის და ზოგჯერ შერეულად გვხვდება ბერძნული და ლათინური.

ბიზანტიური მონეტების შუბლზე თითქმის ყოველთვის კეისარია გამოსახული სვადასხვა პოზით, პროფილში ან პირდაპირ—წელზემთ, მუხლებამდე, ან მთელი ტანით, ზოგჯერ თანამეცხედრესთან ან მემკვიდრესთან ან კიდევ რომელიმე წმინდანთან ერთად; მონეტის ზურგზე კი ხან თვით კეისარის გამოსახულება, აქაც ნაირნაირი სახესხვაობით: ან რომელიმე წმინდანთან ერთად, ან წმინდანი მარტო: გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ სპილენძის ანონიმური მონეტები—მათზე მაცხოვარია გამოსახული, კეისარის სახელი კი არ აღინიშნება.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოს წიაღში აღმოჩენილი ბიზანტიური ნუმისმატიკური ტყელებით ირყევა, რომ ჩვენში V საუკუნიდან შემოდის და მიმოქცევაშია სამივე ლითონის ბიზანტიური მონეტები. ხოლო VII საუკუნის ბოლოდან ბიზანტიური მონეტების შემოსვლა შედარებით კლებულა.

ვ. კროპოტკინი VII საუკუნის ბიზანტიურ სოლიდებს შესახებ წერს: ამიერ-კავკასიაში ცნობილია VII საუკუნის ბიზანტიური ოქროს სოლიდებს პოვნის ცალკე შემთხვევები<sup>174</sup>. ფაქტურად საქართველოში VII საუკუნის ბიზანტიური ოქროს მონეტები (სოლიდები) მოპოვებულია როგორც

ცალკე ერთეულებად (ირაკლი, კონსტანტინე I—3 შემთხვევა, კონსტანტინე IV—2; იუსტინიანე II—1; ტიბერიუს III—2), ისე განძების სახით (ჩიბათის განძი). რაც შეეხება მათი შემოსვლის საშუალებას ვ. კროპოტკინი ფიქრობს, რომ „როგორც ჩანს VI—VII სს. ბიზანტიური ოქროს მონეტების მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდოდა ჩვენს ტერიტორიაზე არა ვაჭრობის გზით, არამედ სამხედრო ღონისძიებითა შედეგად“<sup>175</sup>.

როგორც ზევითაც ითქვა, თ. ლომოურს მიაჩნია, რომ ბიზანტიური ფული ჩვენში „შემოქონდალად უცხოელ ჯარებს, მოგზაურებს. შემოდოდა ნადავლის და ხარკის სახით და სხვა“<sup>176</sup>. ეს მოსახრება საყარაულო და გასათვალისწინებელია<sup>177</sup>, მაგრამ არც ისა გამოირიცხული, რომ ბიზანტიური მონეტები აქ შემოსულიყო წმინდა ეკონომიურ ნივთსა—ვაჭრობის გზით.

მოდევნო საუკუნეებში, საქართველოში არაბთა ბატონობით შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარების შესაბამისად, ბიზანტიური მონეტების შემოსვლა ძლიერ კლებულობს. მაგრამ, X საუკუნის დასასრულიდან, როდესაც როგორც აღინიშნა, არაბების ვაგლნა შემცირდა, ბიზანტია კვლავ იწყებს თავის უფლებების აღდგენას და, შესაბამისად, მისი ფულის შემოსვლაც იზრდება და XI საუკუნიდან საქართველოში მკვიდრდება არა მარტო ბიზანტიური ფული, არამედ ფულის ტერმინებიც. XI საუკუნიდან მიმოქცევაში ჩნდება ელექტრუმის<sup>178</sup> მონეტებიც. ამ თთივე ლითონის ფულის გავრცელებას სათანადო ეკონომიური საფუძველი ჰქონდა.

რაც შეეხება ბიზანტიურ ვერცხლის მონეტებს, მათი განძი ჩვენში აღმოჩენილი არ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცნობას თბილისში 1904 წელს აღმოჩენილი განძის<sup>179</sup> შესახებ; ამ განძში ბიზანტიური ჰექსაგრამები და სასანური დრამები ყოფილა თავმოყრილი.

მიუხედავად იმისა, რომ ორი მეტოქე ქვეყანა,—სასანური ირანი და ბიზანტია ხანგრძლივად

<sup>172</sup> Г. Ф. Герцберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

<sup>173</sup> М. В. Левченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

<sup>174</sup> В. В. Кропоткин, Клады Византийских монет..., გვ. 10.

<sup>175</sup> იქვე.

<sup>176</sup> თ. ლომოური, დასახ. შრომა, გვ. 299.

<sup>177</sup> თ. აბრამიშვილი, ბიზანტიური ოქროს მონეტები, ჩიბათის განძი.

<sup>178</sup> 1962 წელს სოფ. იფუნალაში აღმოჩენილი ელექტრუმის მონეტების განძი.

<sup>179</sup> Е. А. Пахомов, Монеты Грузии... გვ. 30; მისივე Монеты Клады..., вып. I, № 59. ამ განძიდან, გარდა სპილენძურ ლიტურჯურაში მოცემული ცნობისა, ჩვენამდე სხვას არაფერი მოუღწევია; შესაძლებელია, განძი აღმოჩენისთანავე დაწაწილდა და სადმე საცავებში თითო-ორთა ცალგბა დაეცულა.

ფლობდნენ საქართველოს მიწაწყლის ნაწილებს და, ცხადია, მათი ფული შემოდიოდა და ტრიალებდა საქართველოს ტერიტორიაზე ამ ორი ქვეყნის მონეტების ერთობლივი განძები არაა აღმოჩენილი, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ განძები VII საუკუნის დამდეგიდან, ვიდრე არაბული ფულის მოჭრამდე, წარმოადგენს სასაბურთო და ბიზანტიური მონეტების ნაკრებს, რომლებიც ერთდროულად იყვნენ მიმოქცევაში მოსახლეობაში<sup>180</sup>.

ვ. კროპოტკინი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ამიერკავკასიაში ფულის მიმოქცევას VII საუკუნეში: „ამიერკავკასიაში ფულის მიმოქცევის თავისებურებას VII საუკუნეში შეადგენდა ორი სხვადასხვა ვალუტების—ბიზანტიური პექსაგრამების და სასანური დრამების—ერთდროული არსებობა. ერთისა და მეორე ვერცხლის მონეტის მიმოქცევა დამოუკიდებელი ერთდროული აღმოჩენის—დვინის (№ 365) ლენინაჯანის (№ 375), თბილისის (№ 454) განძები“<sup>181</sup>.

სკიროლ მივაჩნია შეენიშნოთ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ორივე ქვეყნის ფული შემოდიოდა და მიმოქცევაში იყო, საქართველოს წიაღმა ასეთი შერეული განძები (სასანურ-ბიზანტიური მონეტები), გარდა ზემოდასახელებული ერთი შემთხვევისა, არ შეპირანბახა, ყოველ შემთხვევაში. ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი. დღემდე არსებული ნუმისმატიკური ღონისძიებები ზემოტრიალი მიხედვით უფლებას არ იძლევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მიწის წიაღიდან ცალკე ბიზანტიური ვერცხლის მონეტების განძიც კი არ არის აღმოჩენილი, თუმცა ნუმისმატიკურ ლიტერატურაში მათ შესახებაც არის გამოთქმული მოსაზრება, რომ „ამიერკავკასიაში გვხვდება აგრეთვე VII საუკუნის ბიზანტიური ვერ-

ცხლის მონეტების განძები, ყოველგვარი უცხო შეხარვევის გარეშე (დვინი № 364, ეჩმიაძინი № 387, ჩიბათი № 475)<sup>182</sup>. მართალია საქართველო ჩიბათითურთ შედის ამიერკავკასიაში, მაგრამ ჩიბათში, როგორც ვიცით (და ეს ვ. კროპოტკინისათვისაც ცნობილია) მხოლოდ ბიზანტიური ოქროს მონეტების განძია აღმოჩენილი. ფაქტიურად, საქართველოში ბიზანტიურ ვერცხლის მონეტების თითოეული აკლის აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევა აღრიცხული (წინწყარო № 66; ქორეთი № 70; ჭანდრები № 71; ევბოტა № 74). თუ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული შერეული (სასანურ-ბიზანტიური) მონეტების განძები არ არის აღმოჩენილი, სამაგიეროდ ჩვენი ქვეყნის მიწამ სასანურ-არაბული მონეტების შერეული განძები, როგორც აღნიშნული იყო, ბევრი შემოგვინახა; დღეისათვის უკვე რამდენიმე ასეთი განძია აღმოჩენილი (სოფ. აფენის, ლელაისი, კავშირის, ფშაველის<sup>183</sup>, თიჩხვანის, მთისძირის). ამ განძების სიმრავლე კი საქართველოს იმდროინდელ ეკონომიური ვითარების გასათვალისწინებლად საუკეთესო მასალას წარმოადგენს<sup>184</sup>.

წინამდებარე ნაშრომში მონეტები ქრონოლოგიურად არის დალაგებული კეისრების მიხედვით, ამ დაყოფის შიგნით კი—ზარაფხანებისა და მათი სპელოსნობების მიხედვით—კონსტანტინოპოლის<sup>185</sup>, აესალონიკის, ნიკომედიის, კონიკის, ანტიოქიის—თეოპოლისის, ალექსანდრიის<sup>186</sup>, კართაგენის, სიცილიის, რომის და რავენის. ჩამოთვლილ ზარაფხანებში მოჭრილი მონეტების ჩვენში მოპოვება შესაძლებელია ამ ცენტრებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობაზე მეტყველებდეს.

ცნობილია; რომ ბიზანტიის იმპერიას ზარაფხანები თავისი უპირავე სახელსწონებით, ბევრ ადგილას ჰქონია. მარტო ჩიბათის განძით ირკვევა, რომ

<sup>180</sup> Е. А. Пахомов, Монетные клады..., вып. I, стр. 21.

<sup>181</sup> В. В. Кропоткин, Клады Виз. монет..., стр. 10; М. В. Камера и К. В. Голенко, დასახ. ნაშრომი.

<sup>182</sup> В. В. Кропоткин, Клады Византийских монет..., стр. 10.

<sup>183</sup> თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში..., გვ. 283; მისივე, სამი კახური განძი, ზღნაწყირი Е. А. Пахомов, Монетные клады, вып. II, გვ. 24. №№ 393, 395.

<sup>184</sup> გასათვალისწინებელია აგრეთვე ორი, ჩვენი ქვეყნის სახლებს გარეთ აღმოჩენილ ბიზანტიურ ვერცხლის მონეტებთან (ბასილ II და კონსტანტინე VIII მილიარესებთან) ერთად, დავით კურაპალატის მონეტაც ყოფილა. იხ. Лихтенандский клад, Известия Археологической Комиссии, вып. 17, СПб, 1905, გვ. 136—137. ეს გარემოება საინტერესოა იმ მხრივ, რომ სხენებულ მონეტას ბიზანტიური მონეტების პარალელურად, მიმოქცევაში გასავალი ჰქონია საქართველოს გარეთ და მათთან ერთად განძშიც მოქცეულა.

<sup>185</sup> ტექსტში ზარაფხანების რიგი იმ შემთხვევაში ირღვევა, როცა მონეტა დახანებულა და მისი აღწერა ვერ ხერხდება.

<sup>186</sup> საქართველოს მუზეუმის ბიზანტიური მონეტების ფონდში ალექსანდრიისა და რავენის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტები არ არის აღრიცხული.

კონსტანტინოპოლის ზარაფხანას 10 სახელოსნო ჰქონია (ვაშლიცხელი არ არის სხვა ზარაფხანის რამდენიმე სახელოსნოს არსებობაც). შემჩნეულია, რომ ერთი და იგივე ზარაფხანის სახელოსნო სხვადასხვა ვარიანტის მონეტებს ქრდა. ეს სხვაობა, როგორც მონეტის გარეგნობის, ისე ზედწერილობის შესრულებაში შეიმჩნევა. საყურადღებოა ამ განხილვის მონეტებზე  $\Delta$  ასოს თავისებური მოხაზულობა: მაგ. 5-ე სახელოსნოში მოჭრილი № 9754 მონეტაზე  $\Delta$  ასეა მოკვეთილი № 9757 კი  $\delta$ , ამრიგად ერთი და იმავე ასოს ორ სხვადასხვა სახეს იძლევა. საყურადღებელია, სახელოსნოების სიმრავლესთან ერთად მონეტათა ვარიანტების სიმრავლეც.

მონეტებზე ზარაფხანის სახელოსნოს ნომრის აღმნიშვნელი ასო-ციფრი სხვადასხვა ადგილს არის ამოკვეთილი; ოქროს მონეტაზე—ზურგის ზედწერილის ბოლოს. ვერცხლისაზე—მონაკვეთის ქვეშით. ზარაფხანის სახელთან ერთად; სპილენძისაზე კი ხან თვით მონეტის არგზე მოცემულ ასო-ციფრის ყიდურზეა შორის. ხან მონაკვეთის ქვევით, როგორც ვერცხლის მონეტაზე.

ზემოაღნიშნულს თანახმად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზარაფხანის აღნიშვნა ბიზანტიურ მონეტებზე თავიდან არებობდა და IX საუკუნეში შეწყდა. ამის შემდეგ მოჭრილ მონეტებში, რომლებზე ზედაც ზარაფხანა არაა აღნიშნული ვ. როსი კონსტანტინოპოლში მოჭრილად ვარაუდობს. „ეს ვარაუდი სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს, მაგრამ რწმენა. რომ იგი სწორია შეუძლებელია ვიქონიროთ“. რადგან თუ (მონეტას) წინასწარ მოგვაგონებს კონსტანტინოპოლში მოჭრილ (მონეტის) შუბლს, სამაგიეროდ, მონეტის ზურგის მხარეზე მოცემული  $\Delta$  ასოს ფორმა და ზოგიერთი სხვა ნიშნები გვაძლევს ვივარაუდოთ ანტიოქია<sup>117</sup>. ამ მოსაზრების გაზიარება ერთგვარად ძნელია, რადგან მას საქმარისი საბუთიანობა არ გააჩნია.

IX საუკუნის ბოლოს და შემდეგაც, ალბათ, ბიზანტიის საყეროსოს მფლობელობაში მყოფ ქვეყნებში ზარაფხანები კვლავ მოქმედებდნენ. მაგრამ

მონეტებზე მათი აღნიშვნა, როგორც წესი აღარ სდება.

ბაილი I დროიდან ბიზანტიურ სპილენძის მონეტებზე ანასტასი I შემოღებული ასო-ციფრები (M, K, I.) ქრება. სამაგიეროდ შემოდის მაცხოვრის გამოსახულების მოთავსება. მონეტა წონა-ზომითაც თითქმის იგივე რჩება<sup>118</sup>. X საუკუნეში ბიზანტიურ სამონეტო ტიპში კვლავ ცვლილება. სპილენძის მონეტები ანონიმურია—კეისრის აკცვლად მონეტის შუბლზე მაცხოვარია გამოსახული, კეისრის სახელი არ აღინიშნება. მონეტის ზურგზე ოთხსტრიქონიანი ზედწერილია<sup>119</sup>. ამ ოთხსტრიქონიან წარწერას ზევით და ქვევით ახლავს სათანადო ნიშნები, რომელთა საშუალებითაც სდება მონეტების განსაზღვრა. ვარდა ამისა, არის სამსტრიქონიანი წარწერაც (მიხეილ VI, ისაყ II, კონსტანტინე X). იგივე წარწერა მიხეილ IV მონეტაზე ჯვრის მკლავებშია ჩაწერილი.

ცნობილია, რომ XI—XII საუკუნეებში ბიზანტიურ სპილენძის მონეტებს გაგრცელების ძალიან ფართო არეალი ჰქონდა. ისინი სწორია მცირე აზიასში, ამიერკავკასიაში (კერძოდ საქართველოში ანონიმური მონეტების აღმოჩენის 20 შემთხვევა აღრიცხული<sup>120</sup>—აღმოსავლეთ საქართველოში 8, დასავლეთში კი—12) და სხვა ქვეყანებში. ეს გარემოება ეწინააღმდეგება მოსაზრებას, თითქმის სპილენძის მონეტები შინაური ბაზრისა და აფგილობრივი მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი<sup>121</sup>. მაგრამ, გარკვეული დროიდან, ეტყობა, ამ მონეტებს სათანადო განახლება დასჭირდა და, აქ დამკვიდრებულმა მუსლიმანურმა დინასტიებმა მიმართეს საყოველთაოდ ცნობილ და იოლ საშუალებას—მონეტის დადამლვას; მათი დამლვები უმთავრესად ბიზანტიურ ანონიმურ მონეტებზე გვხვდება. ანონიმური მონეტები, რომლებიც საქართველოს მუსულმანის ბიზანტიური მონეტების ფონდშია აღრიცხული, მეტწილად არაბული დამლვით — ალაჰ, სულთან და მათ მიერვე მიღებული სხვადასხვა ნიშნებით არიან დადამლულინი.

<sup>115</sup> И. И. Толстой, Византийские монеты, вып. II, гл. 188.

<sup>116</sup> Г. Ф. Герцберг, Дахб. № 87, гл. 192.

<sup>117</sup> ჰერცბერგის დაკვირვებით IX საუკუნის შუა წლებიდან სხვადასხვა მონეტის ზურგზე ბერძნული ზედწერილები ჩნდება და მაკედონელების დინასტიის დროს ვერცხლისა და სპილენძის მონეტებზე ჩვეულებრივია. ხილთ ოქროს მონეტის ზედაც მაცხოვრის წყლზეთი გამოსახულება წარწერით Iesus Christus Rex Regnantium. ანთი წარწერა ოქროს ანთიღზე XI საუკუნის ბოლომდე დარჩა. იქვე, გვ. 192.

<sup>118</sup> ანონიმურ მონეტების აღმოჩენათა რიცხვი მოქცეულია 2 ოქროსი და 1 ვლექტრების მონეტა.

<sup>119</sup> И. И. Толстой, Византийские монеты, вып. VI, гл. 718.

სამონეტო საქმიანობაში დამღის გამოყენება, როგორც თვით ნუმიზმატიკური მასალა გვიჩვენებს, ძველი, უკვე ხმარებიდან გამოსული მონეტის „გამოცოცლება“, ან უკეთეს ფულის შეთვისება, ან საუბოთარი მონეტის ან ნიშნით შემოკობა, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქვეყანაში მომხდარ რაიმე ცვლილებებთან და ამ ღონისძიების ჩატარებით სახელმწიფო არსებულ ვითარებიდან გამოსავლს ეძებდა<sup>192</sup>.

ახონიშური მონეტების აღწერალობისას მიღებული განსაზღვრა არის გამოყენებული<sup>193</sup>.

1024 წლიდან ჩნდება ჩაღრმავებული ტიპის ბიზანტიური მონეტები<sup>194</sup>, XI საუკუნის ბოლოს კი თითქმის ყველა მონეტა ამ ტიპისაა; სპორენძის მონეტები იკრება როგორც ჩაღრმავებული ტიპის, ისე ჩვეულებრივი. ამ ფორმას ოქროსა და ვერცხლის მონეტების წონაში და ღირებულებაში არავითარი ცვლილება არ მოუხდინია, სპორენძის მონეტების წონაცა და ზომაც შესამჩნევად შემცირდა—მაგრამ იმ გამოწვევით, რომ შეს უქანას/ხელი ჩვეულებრივი ფორმისაც იკრება<sup>195</sup>. რა გარემოებამ შეუწყო ხელი ამ ტიპის მონეტის მოქრას და რა უპირატესობა ჰქონდა მას, გაურკვეველია.

ჩვენ აზრით ამ მონეტა როგორც მოქრა. ისე მისი შენახვა და გადატანა გარკვეულ სიმძლევსთან და უხერხულობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საჭიროა შევხებით აგრეთვე გადაქედილი მონეტების საკითხს.

ბიზანტიურ სამონეტო პრაქტიკაში მონეტების გადაქედეა ე. ი. ძველი, უკვე ხმარებიდან გამოსული მონეტის „გამოცოცების“, ეს საშუალებაც ყოფილა მიღებული და ხშირად გამოყენებული. ამ მნიშვნელოვანი საშუალების გამოყენება ირაკლი კესისრის სპორენძის<sup>196</sup> მონეტებთან შეიმჩნევა; შემდეგშიც, „მკვდარი“ მონეტის გააქტივების ან ხერხისათვის საჭიროების მიხედვით მიუშარათავთ. უფ-

რო გვიან, X—XI სს. ეს მოვლენა, თითქოს უფრო იხტენიოვრ სასეს იღებს. მაგ. კონსტანტინე X-ის მონეტებში ისი კი ირკვევა, რომ მისი I ტიპის (W. Wroth, II, ტაბ. LX, 6) მონეტები № № 491 და 247 და 266 დ მსივე I ს ტიპის მონეტის შტამპით არის გადაქედილი (W. Wroth, II, ტაბ. LXX, 8). ამ უკანასკნელზე კონსტანტინე თანამეცხედრითურთ არის გამოსახული. კონსტანტინე X სულ რვა წელს კეისრობდა და დიდი ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა დატოვა, კერძოდ გადაქედილი მონეტებიც. საგარაუდებელია, რომ მონეტის გადაქედვა შეიძლება გამოწვეული იყოს სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალებით, ან სხვა რაიმე მოვლენით. შემდეგ, რომანოზ IV მონეტა, მიხელო VII მონეტის შტამპით არის გადაქედილი. ეს უფრო ბუნებრივი ჩანს, რადგან წინა მმართველის ფული მიმოქცევაში აღარ მონაწილეობდა და ამ იოლი საშუალებით მას კვლავ უბრუნდებოდა დაკარგული ფუნქცია.

ნაშრომში შეტანილია ბიზანტიელი კეისრების მიერ ხერსონესში მოქრილი ის მონეტები, რომლებიც საქართველოს მუხუშუმის ბიზანტიურ მონეტების ფონდშია დაცული; მათი აღწერაობა შესაბამის კეისრების მონეტებთან არის მოცემული. ჩვენ კონდში აღრიცხული ხერსონესი მონეტები მოქრილია იუსტინიანე<sup>197</sup> I. ბასილ I; ლეონ VI; ლეონ VI და ალექსანდრეს; კონსტანტინე VII; რომანოზ I; იოანე ციმისისი; ბასილ II და კონსტანტინე VIII მიერ. ეს მონეტები განეკუთვნება იმ კატეგორიას, რომელთა მოპოვების გარემოება ცნობილი არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ მათ აქ გასავალი უნდა ჰქონოდა.

ამრიგად, საქართველოსა და ბიზანტიის შორის არსებული ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ მომწელო ისტორიული წყაროების განხილვას ხელს უწყობს და ავსებს არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური აღმოჩენები.

<sup>192</sup> თ. აბრამიშვილი, საქართველოს მუხუშუმის ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე მოთავსებული დამღები საქართველოს მუხუშუმის მონეტები. ტ. XXII-B. თბილისი, 1961, გვ. 111—112.

<sup>193</sup> W. Wroth, Catalogue..., ტ. II; The Anonymous. Byzantine bronze, The Numismatic chronicle and Journal of the royal numismatic society. Edited by E. S. G. Robinson, London, 1955.

<sup>194</sup> F. de Saulcy, Essai de classification des sultes monétaires byzantines, Metz, 1836, გვ. 260.

<sup>195</sup> Г. Ф. Гершперг, დასახ. ნაშრომი, გვ. 192. ფოლიისი და თობლი იკრებოდა. როგორც ბრეტელი, ისე ჩაღრმავებული ფორმისა.

<sup>196</sup> გადაქედილი მხოლოდ სპორენძის მონეტებია. ოქროსის ალბათ განახლების გარეშეც ჰქონდა გასავალი. ვერცხლისაზე იშვიათად, მაგრამ მაინც არის გადაქედვის ნიშნები.

<sup>197</sup> А. Орешников, Херсонско-византийские монеты, Труды московского нумизматического общества, т. III, Москва, 1905; გვ. 359—373 და ტაბ. VIII—X. ხერსონესში იუსტინიანე I-დან დაიწყო სპორენძის მონეტების მოქრა, მის შემდეგ მტრნაკლებად იკრებოდა იქ მონეტები.

№ № რიცხვები	ფონტი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
<b>ს ს ი ლ ე ნ დ ი *</b>				
1	ბიზ. d. 7 <sup>2</sup>	5.44 21/22	გამოსახული კეისარი მარჯვენე მიბრუნე- ბით (მკერდამდე); თვლებით შემკული დიადე- მო, რომელიც უკან არის გამოხსნილი და სა- მი მათი კისრთან ეშვება; შემოსილია მხედ- რის სამოსელით; შემოწერილია:  მარცხნივ: <b>DNARCADI V</b>  მარჯვნივ: <b>AVFAVCVSIV.</b>  = Dominus noster Arcadius, perpetuus, felix, augustus <sup>3</sup> ე. ი. აბატონი ჩვენი არკადი, მუდამ ბედნიე- რი; რკალი ხაზოვანია (?).	გამოსახული კეისარი მთელი ტანით მარ- ჯნივ მიბრუნებით, დიადემით <sup>1</sup> შემოსილია მხედ- რის სამოსელით; მარჯვენა ხელით უყვრია გრძელბუნინაი ლაბარუმი; გაწვილი მარცხენა ხელით კი სფერო; მის ფეხებით მარჯვნივ წარ- მოდგენილი <sup>2</sup> უკან ხელმეფარული ტყვე; რო- მელიც მას შეუკურებს; მონეტის არეზე  მარცხნივ <b>AVFAVCVSIV.</b> პრისტეს მონოგრამა. შემოწერილია: <b>P</b>
2	ბიზ. d. 3 <sup>4</sup>	3.76 21/22	როგორც № 1, მხოლოდ შტამპი თითქოს ორჯერ არის დაკრული.	როგორც № 1, მხოლოდ მონეტის არეზე მარცხნივა ტყვე, პრისტეს მონოგრამა არ არის აღბეჭდილი. ...RIA ROMANO RVM = gloria romanorum. ე. ი. „დიდება რომაელებს“, მონაკვეთის კვე- ვით; ONSI <sup>5</sup> = Constantinopolis Γ-3. ე. ი. კონსტანტინოპოლის მესამე (სახელმწიფო). ტაბ. I. 2.
3	ბიზ. d. 5 <sup>6</sup>	0.87 14.15	როგორც № 2. მხოლოდ ირგვლივ წერტი- ლოვანი რკალი.	გამოსახული მარცხნივ მიმავალი ვიქტო- რია; მარჯვენა ხელში მხარზე გადახლებული რა- ლაცა საგანი. (შეიძლება ნადავლიც იყოს) უკი- რავს. მარცხენაით ადამიანს (ტყვეს) მიითარებს;  წინ, თითქმის მუხლისათვის <b>P</b>

<sup>1</sup> ბიზ. დ. აქ და შემდეგ აღნიშნავს საქართველოს მუხუშუმის ბიზანტიურ მონეტების ძირითად ფონდს.  
<sup>2</sup> ორივე მხარე ოდნავ გაცვეთილია და ნაპირი ორგან გახეთქილი.  
<sup>3</sup> ასეთივე საქართველოს მუხუშუმის ბიზანტიური მონეტების სადღებულეთ ფონდის № 1 და ბიჭვინტის არქეო-  
ლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი მონეტები, საველე №№ 969, 3731.  
**Т о а с т о в.** I, გ. 41, № 110.  
<sup>4</sup> ტაბულაზე მოთავსებული ილუსტრაციების ნომრები შეგუბაკვისება აღწერილობის ნომრებს.  
<sup>5</sup> ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია. მტრად ზურგი. ბეჭედი ორჯერ უნდა ჰქონდეს დაკრული.  
<sup>6</sup> შესავეება ყველგან რიგითი ნომრით არის მიითავსებული.  
**Т о а с т о в.** I, გვ. 34, № 78.  
<sup>7</sup> ნაპირები დახეთქილია, ორგან ამოტეხილი.  
<sup>8</sup> ლითონის ალმინუმული ნიშნების უქონლობის გამო მონეტის აღწერილობას წინ უსწრებს საერთო სათაური  
ოქრო. ველეტრონი, ვერცხლი, სპილენძი იმის მიხედვით თუ რომელი ლითონის მონეტებია.  
მონეტების აღწერისას ხედწერილებს განხა-შევსება და შესატყვისი ქართული კი მხოლოდ პირველ აღწერილ  
მონეტა ახლავს, განახლებული ხედწერილები ასევე განადაგხაა მოცემული.  
პალეოგრაფიული სიხუსტით მოცემული ხედწერილი გადიდებულია თვალსაჩინოების მიზნით.



№№ რიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, სომა	შებლი	ზურგი
				ქრისტეს მონოგრამა; შემოწერილია:
4	ბიხ. d. 652	2,51 16/19	როგორც № 1, მხოლოდ კეისარს თავზე თელებითა და დიადემით შემკული მუხარადი ადგია; მარჯვენა ხელში მხარზე გაღებული შუბი უკირავს, რომლის წვერი—მარჯვენა მხარეს მოჩანს; მარცხენა ხელი დაფარულია ფართო; ფარზე გამოსახულია ქვირი.	<b>ALVSREI PVBLICA</b>  = Salus reipublicae ე. ი. „რესპუბლიკის კეთილდღეობა“. მონაკვეთის ქვევით CON <sup>12</sup> . ტაბ. I. 3. მქდომარე ადამიანის (ქალის) გამოსახულება პირდაპირ ოდნავ მარჯვენა მიზრუნებით; თავზე მუხარადი ადგია; ნავეცხიანი სამოსელით არის შემოსილი; მარჯვენა ხელით სკობტრა თუ კვერთხი უჭერია; მარცხენით კი ვერონის სფერო, ყვარზე ვიქტორია, ხელში გვირგვინით და მასვე ავირგვინებს შემოწერილია: <b>CONCORDI AAVGG = Concordia Augustorum</b> ე. ი. „იმპერატორთა თანხმობა“; მონაკვეთის ქვევით SN... = signavit Nicomediae ე. ი. ნიკომედაში მოჭრილი. ტაბ. I. 4.
5	ბიხ. d. 2 <sup>11</sup>	4.60 21/22	კეისრის ისეთივე გამოსახულება, როგორც № 1, მხოლოდ კეისარს მხრილ მარჯვენა ხელით შუბი უკირავს; მარცხენა ხელი ფართო არის დაფარული; ხეობა ღვთაების მაკერთხვეული ხელი გვირგვინით.	კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ; თავი მარცხნვე აქვს მიზრუნებული; შემოსილია მხედრის სამოსელით; აცვია მალაყელაანი ფეხსაცმელი; მარცხენა ხელით გრძელმუნანი ლაბარუმი უჭირავს; მარჯვენა—ფარზე აქვს დაყრდნობილი; მარცხნვე ცალ მუხლ-მოდრეკილი ხელუბგარული ტყვია, რომელც კეისარს შეესურებს; შემოწერილია: <b>GLORIARQ MANORVN</b>  = gloria romanorum ე. ი. „რომაელთა დიდება“. მონაკვეთის ქვევით ვარსკვლავი და CENA <sup>13</sup> ტაბ. I. 5. როგორც № 5, მხოლოდ მონეტის ობზე მარჯვენა T; მონაკვეთის ქვევით SNNB <sup>14</sup> ; ტყვია საზოგადოება <sup>15</sup> . ტაბ. I. 6 <sup>16</sup> .
6	ბიხ. d. 1 <sup>12</sup>	4,75 22/23	როგორც № 5.	
7	ბიხ. d. 4 <sup>11</sup>	1,21 15	როგორც № 1, მხოლოდ ზედწერილის ზოგიერთი ასო დამახინჯებულია.	ნაკებობის ფასადი კომპოზიცია და კომპოზიტი; ზედწერილი კერ იქონებს. ტაბ. I. 7.

<sup>10</sup> Трѣстои, I, გვ. 40, № 105, ტაბ. 3. 105, მხოლოდ აქ სახელისონის ნომერი ვერ ირკვევს; ასეთია 1953—59 წლებში ბიკინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი მონეტები, საველე № 857. 973, ასეთივე 1960—1962 წწ. აღმოჩენილი მონეტების საველე № 2652, 3902, 4260.

<sup>11</sup> ორივე მხარე ნაწილობრივ გავეთვლილი, ერთგან ნაპირამოტეხილი.

<sup>12</sup> ქალაქის აღნიშვნელი ასოები არაკადო; დროის არც ერთ სარაუზანის სახელზე არ მოგვითითებს. შესაძლებელია ი-ის დასაწინების გამო ე-ი მოჩანს, თუ ევათედით მართლაც ი-ი იქნება მაშინ CUNA = Constantinopolis prima. ე. ი. კონსტანტინოპოლის პირველი სახელწოდება.

<sup>13</sup> ორივე მხარე ნაწილობრივ გავეთვლილი და ნაპირი თანხან განთქილი.

